დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია სოხაძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

რაინდი როდონაია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნანა გიორგობიანი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

თინათინ გიორგაძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

მეგი კაპანაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ეთერ ბოკელავაძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან ბორაშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ელენე ხუსკივაძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

მარიამ ჩიკვაიძე-კეჭაყმაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

მიმოზა ტყებუჩავა-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ლანა კუჭავა-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ კასპის მუნიციპალტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**232550655**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ხოვლე
იურიდიული მისამართი	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ხოვლე
ფაქტობრივი მისამართი	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ხოვლე
საფოსტო ინდექსი	**2610**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	khovle@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577957362

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 12 სექტემბრის MES 2 23 0001134544 ბრძანება

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	5-6 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ხოვლე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ხოვლე
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ხოვლე

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის სკოლაში 2023 წლის 5 და 6 ოქტობერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი როგორც პირდაპირ (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი), ასევე დისტანციურ ფორმატში (საგნობრივი ექსპერტები). ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვიზიტამდე გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და დოკუმენტაციას. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულად თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ გარემოში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა. ვიზიტის ფარგლებში შედგა გასაუბრება დირექტორთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება

	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-სრული შესაბამისობა

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-მეტწილი შესაბამისობა

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-მეტწილი შესაბამისობა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 1.1.1.(1)	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცება.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი1.1.1.(2)	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია დამტკიცებული მისიითა და ხედვით განსაზღვროს საკუთარი როლი, როგორც უსაფრთხოებაზე ორიენტირებული სივრცე, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023).
ინდიკატორი 1.1.1.(3)	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებ შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებ ჩართულობით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.
ინდიკატორი 1.1.1.(4)	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებაში გაზიარება.
ინდიკატორი 1.1.1.(5)	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს მისია, ხედვა, ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობა, კერძოდ მისი გაზიარება სკოლის ვებ-გვერდზე და საჯაროდ, სოციალურ ქსელში.
ინდიკატორი 1.2.1.(2)	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს შვიდიწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება

ინდიკატორი 1.2.1.(3)	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება.
ინდიკატორი 1.2.1.(4)	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებ შესაბამისი აქტივობები, შესრულებ გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტურ ვადები, პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურული ერთეულები დ შესაბამისი რესურსები, რომელ უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება, სადაც განსზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებ შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N. 3.1.2. (1)	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს პერსონალის შესარჩევი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამსახურში მიღების მექანიზმის და კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალის განსაზღვრა.
ინდიკატორი N. 3.1.2. (3)	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (17.11.2024-30.12.2023) წარმოადგინოს ცნობები მასწავლებლების ნასამართლობის

	დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	შესახებ და ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.
ინდიკატორი N. 3.1.2 (4)	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.01.2024-15.06.2024) უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის შერჩევა.
ინდიკატორი N. 3.3.1.(3)	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) დაამტკიცოს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.
ინდიკატორი 3.4.1.(1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (17.11.2023-01.05.2024) სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნ უზრუნველყოს : • ვიდეო სათვალთვალო კამერების მონტაჟი; • შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიე გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ დასკვნის მოპოვება; • შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის მოპოვება. • შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებ სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება; • საგანგებო შტაბის შექმნა.

ინდიკატორი 3.6.3.(1)	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაცი მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) გააქტიუროს სკოლის ვებ-გვერდი.
ინდიკატორი 3.6.3.(4)	სკოლას არ აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) გააქტიუროს სკოლის ვებ-გვერდი.
ინდიკატორი 3.6.3.(5)	ვებგვერდი/ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრებისმექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტოი ნფორმაცია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) სკოლის ვებ-გვერდზე განათავსოს ინდიკატორით გათვალისწინებულ ინფორმაცია

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
კომპონენტი 2.2	კურიკულუმის განხორციელება	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (18.11.2023-18.11.2024)

		უზრუნველყოს სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა, საბაზო საფეხურზე შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისა და შესაბამისად კურიკულუმის სრულყოფილად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
კომპონენტი 2.2	კურიკულუმის განხორციელება	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (18.11.2023-18.11.2024) უზრუნველყოს სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა, საშაულო საფეხურზე შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისა და შესაბამისად კურიკულუმის სრულყოფილად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*

ინდიკატორი N. 3.3.2 (1)	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	სკოლამ შექმნას სოციალურ ქსელში საჯარო გვერდი, სადაც განთავსებული სიახლეები და განხორციელებული აქტივობები ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის.
ინდიკატორი N. 3.4.1 (1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღება. სკოლამ სამედიცინო კაბინეტში უზრუნველყოს პაციენტის პრივატულობის დაცვა და განათავსოს შირმა, კომპიუტერი, აგრთვე უზრუნველყოს მედიკამეტების შესყიდვა კონსოლიდირებულ ტენდერში განარჯვებული პირებისაგან
ინდიკატორი N. 3.4.1 (5)	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლამ უზრუნველყოს მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელი ნორმის ასახვა.
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი . 4.1.2.(1).	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	სკოლამ შეიმუშავოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდა მარეგულირებელი ერთიანი დოკუმენტი, რომელიც იქნება მკაფიო და უფრო ნათელს გახდის ნებისმიერი

		დაინტერესებული პირისათვის აღნიშნული პროცესების განხორციელების წინაპირობებს. მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანებებში საფუძვლად მითითებული 2011 წლის 7 მარტის N34/ნ ბრძანების ნაცვლად მიუთითონ ამჯამად მოქმედი ბრძანების რეკვიზიტები. (2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანება)
ინდიკატორი . 4.2.1.(1).	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;	სკოლას მიეცა რჩევა, განსაზღვროს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, მოსწავლის ადაპტაციის პრობლემის პრევენციის ან/და დროული რეაგირების მიზნით.
ინდიკატორი . 4.2.2.(1).	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	კლასის დამრიგებლებმა სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ ინფორმაცია

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.1(1)	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	სკოლამ განსაზღვროს სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაში რა მექანიზმებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების განსაზღვრას.

ინდიკატორიN2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	განისაზღვროს ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების შესასრულებლად საჭირო შესაბამისი რესურსები, მეტი აქცენტი გაკეთდეს ვირტუალურ ლაბორატორიის გამოყენებაზე. სკოლაში დაორგანიზდეს მოქმედი კლუბის ფუნქციონირების ამსახველი დოკუმენტაცია.
ინდიკატორიN2.2.2.2	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;	დაწყებით საფეხურზე საჭიროა გამოიკვეთოს საგნობრივი კონტექსტები მეტი სიხშირით, რაც კიდევ უფრო მეტად ხელს შეუწყობს მოსწავლის სოციო-ემოციურ განვითარებას.
ინდიკატორიN2.3.2.2	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;	ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულმა საგნობრივმა ჯგუფმა შეიმუშავოს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები, რაც აისახება ერთწლიან სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების ტიპები და კრიტერიუმები.
ინდიკატორიN2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;	მოსწავლეთა ცოდნის დიაგნოსტირების მიზნით, კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესში, სკოლამ განახორციელოს: 1.მოსწავლეებზე დაკვირვება და ამ დაკვირვების შედეგების სპეციალურ ცხრილში ასახვა; 2.მიღებული შედეგების გაანალიზებით ახალი სასწავლო წლისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.

ინდიკატორი N2.3.2.4	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.	1. სკოლამ შექმნას მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც სკოლას დაეხმარება მოსწავლეთა შეფასებაში; 2. ყველა კლასისთვის შეიქმნას განმსაზღვრელი (V კლასის მეორე სემესტრიდან) და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით, რაც სკოლას დაეხმარება მოსწავლეთა შეფასებაში.
სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)**	*რჩევა*
ინდიკატორიN2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	სკოლამ განსაზღვროს სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაში რა მექანიზმებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების განსაზღვრას.
ინდიკატორიN2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	განისაზღვროს ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების შესასრულებლად საჭირო შესაბამისი რესურსები, მეტი აქცენტი გაკეთდეს ვირტუალურ ლაბორატორიის გამოყენებაზე. სკოლაში დაორგანიზდეს მოქმედი კლუბის ფუნქციონირების ამსახველი დოკუმენტაცია.
ინდიკატორი N2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;	სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად, შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა,

		კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.) მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლებმა შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.
ინდიკატორი N2.3.2.4	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.	ესთეტიკის საგნები: 1. სკოლამ საბაზო საფეხურის (კერძოდ VII კლასის) კურიკულუმისთვის კომპლექსური დავალებების ნიმუშები შეარჩიოს განათლების სამინისტროს რესურსებიდან. 2. სკოლამ შექმნას მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც დაეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში 3. სკოლამ შექმნას ყველა კლასისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით, რაც დაეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის

არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ (მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.1.1(1), 3.3.1(1), 3.3.1(2)) ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი'', ვინაიდან, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება აღნიშნული ინდიკატორების მოთხოვნების დაკმაყოფილება. ხოლო რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება“: მეორე სტანდარტთან მიმართებით (საბაზო საფეხურის კურიკულუმი, საშუალო საფეხურის კურიკულუმი) - 2.2.2); პირველ სტანდარტთან მიმართებით - 1.1.1(1); 1.1.1(2); 1.1.1(3), 1.1.1(4); 1.1.1.(5), 1.2.1(2); 1.2.1(3), 1.2.1(4) და მესამე სტანდარტათან მიმართებით 3.1.2(1), 3.1.2 (4), 3.1.2 (3), 3.3.1(3), 3.4.1(1), 3.6.3.(1), 3.6.3.(4), 3.6.3.(5), ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად'' შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომლის შესაბამისად, სკოლის მისიაა პიროვნებაზე ორიენტირებული გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც მოზარდს მისცემს საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას და ხელს შეუწყობს მათ,

მზრუნველ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში, რომლებიც შეძლებენ სამყარო შეცვალონ უკეთესობისაკენ. სკოლის ხედვით ყველა თანამშრომელი ზრუნავს მოსწავლეების საზოგადოების სრულყოფილ წევრებად ჩამოყალიბებისათვის. სკოლა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს შეეძლება თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვა, ექნება პასუხისმგებლობა ოჯახის, საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე. მათი ხედვით 2030 წლისათვის პროფესიონალიზმით, ინოვაციების დანერგვით, პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებით სკოლა დაიმკვიდრებს გამორჩეულ ადგილს საგანამანათლებლო სივრცეში. ზემოაღნიშნული დებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისია და ხედვა ასახულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული გეგმის დამტკიცების ამსახველი დოკუმენტი. შესაბამისად, არ ჩაითვალა, რომ სკოლას აქვს განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი მისია და ხედვა.

1.1.1(1) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის კერძოდ, სკოლის მისიისა და ხედვის დამტკიცების ვადად, მითითებულია 20.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

2. სკოლის მიერ შემუშავებულ მისიასა და ხედვაში დეკლარირებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა ინოვაციების დანერგვით პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, პიროვნებაზე ორიენტირებული გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც მოზარდს მისცემს საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას და სხვა. აღნიშნული დებულებები შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას საზოგადოებისათვის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებასთან მიმართებაში, თუმცა ინდიკატორი ითხოვს აგრეთვე, რომ მისიითა და ხედვით განსაზღვრული იყოს აგრეთვე უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ სივრცედ ჩამოყალიბება, რაც წარმოდგენილ მისიასა და ხედვაში არ არის ასახული. ამასთან მისია და ხედვა არ არის დამტკიცებული. ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლას ბოლომდე გააზრებული არ აქვს საკუთარი როლი, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცე.

1.1.1(2) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად, მითითებულია 20.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

3. სკოლას შემუშვებული და წარმოდგენილი ჰქონდა კითხვარი: სასწავლო გარემოს შექმნის, ნაყოფიერი სასწავლო წლის დაგეგმვის და მასწავლებელსა და მშობელს შორის ეფექტური კომუნიკაციის წარმართვის შესახებ. შესაბამისად, კითხვარის შემუშავები მიზანი უფრო იყო მშობლის კმაყოფილების დადგენა და საჭიროებების კვლევა. შესაბამისად, აღნიშნული კითხვარი ვერ ჩაითვლება, რომ სკოლის მისიის ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობდნენ მშობლები. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე სახის

მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც დადგინდებოდა მისია, ხედვის შემუშავებაში მასწავლებლების ჩართულობა. სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტი შემუშავებული არ ყოფილა. შესაბამისად,

1.1.1(3) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის კერძოდ, სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავებაში სასკოლი საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მითითებულია 20.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ნაწილობრივ გაზირებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ფილოსოფია ამ ეტაპზე დამტკიცებული არ არის, იგი შემუშავების შემდეგ საჯაროდ გამოიკრა სასკოლო სივრცეში. თუმცა, მისი განხილვა არ მომხდარა სკოლის რომელიმე კოლეგიალურ ორგანოში (პედაგოგიური საბჭო, სამერვეო საბჭო, კათედრები). რის გამოც მისიის, ხედვის და ღირებულებების სრულად გაზიარება ვერ დადასტურდა.

1.1.1(4) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის კერძოდ, სკოლის მისიისა და ხედვის სასკოლო საზოგადობისათვის გაზიარების ვადად, მითითებულია 20.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

5. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. იგი გამოკრულია სკოლის ფოიეში. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა ვებ-გვერდი გააქტიურებული, შესაბამისად არც მასზე იყო განთავსებული სკოლის ფილოსოფია. სკოლას აქვს დახურული სოციალური ქსელი, სადაც წვდომა აქვთ მხოლოდ ჯგუფის წევრებს. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების მიერ სკოლის ფილოსოფიის ხელმისაწვდომობა ვერ დასტურდება.

1.1.1(5) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის კერძოდ, სკოლის ფილოსობიის საჯაროდ ხელმისაწვდომობის ვადად, მითითებულია 20.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

6. სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდებით" განსაზღვრულ ტიპს და სტატუსს.

ინდიკატორი 1.1.1 (6) დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მიერ შემუშავებული მისია და ხედვა;
2. კითხვარები;
3. შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა ,,სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია", სადაც აღნიშნულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი წრიული ხასიათისაა. პირველ რიგში მუშავდება სკოლის მისია და ხედვა, რის შემდეგაც უნდა შემუშავდეს სკოლის სტრატეგია. მასში ასახული უნდა იყოს მომდევნო პერიოდში სკოლის ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები. სტრატეგიითვე განისაზღვრება სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეულის უახლოესი მიმართულებები და მიზნები. ისინი შემდგომში აისახება სკოლის განვითარების გეგმაში, რომელსაც სკოლის ხედვა და პრიორიტეტები მომდევნო წლის განსახორციელებელ საქმიანობაში გადაჰყავს. გათვალისწინებულია მონიტორინგის ეტაპი.

სკოლის თვითშეფასების გამოყენებით ფასდება სკოლის განვითარების გეგმის ზეგავლენა სტანდარტებზე, ხარისხზე, მოსწავლეთა მიღწევებზე, დაინტერესებული პირების მონაწილეობაზე, ხელმძღვანელობაზე, სკოლის მართვასა და სკოლის საქმიანობის სხვა სფეროებზე. ასევე განსაზღვრულია დირექტორის, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს ძირითადი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები. სტრატეგიული საკითხების ზოგადი ხელმძღვანელობა სამეურვეო საბჭოს აკისრია. მან უნდა გამოიყენოს მონიტორინგის ყველა საშუალება, რათა შეაფასოს სკოლის პროგრესი დასახულ მიზნებთან მიმართებაში, განსაზღვროს, რამდენად ეფექტურად ხორციელდება სტრატეგიული გეგმა და არის თუ არა საჭირო ცვლილებების შეტანა. თუმცა სამეურვეო საბჭოს თავად არ ეკისრება მონიტორინგის მონაცემების შეგროვება. საბჭომ დირექტორთან ერთად უნდა შეიმუშაოს მონაცემების შეგროვების მექანიზმები და პროცედურები და უზრუნველყოს მათი რეგულარული განხილვა და ანალიზი. სტრატეგიული დაგეგმვის ძირითად ეტაპებად განსაზღვრულია ხედვისა და მისიის განაცხადების შემუშავება, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება, სამოქმედო გეგმისა და სკოლის განვითარების გეგმის შემუშავება, გეგმის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება.

ინდიკატორი 1.2.1 (1) დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმა, სადაც მითითებულია, რომ იგი არის შვიდწლიანი. მასში განსაზღვრულია 7 წლის განმავლობაში განსახორციელებული სამუშაოების ზოგადი ჩამონათვალი, სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული აქტივობები ძირითადად შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. თუმცა, სტრატეგიულ გეგმაში არ არის გამოკვეთილი მისი ციკლურობა და არ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება მისი დამტკიცება.

1.2.1(2) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის კერძოდ, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ვადად, მითითებულია 20.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება''.

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. იმის გავალისწინებით, რომ სტრატეგიული გეგმა არ მოიცავს

ინდიკატორით განსაზღვრულ სავალდებულო დებულებებს, არ დგინდება, რომ სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია სტრატეგიული განვითარების გეგმაზე. ამასთან, არ იქნა წარმოდგენილი მისი დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი.

1.2.1(3) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად, მითითებულია 20.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებული აქტივობების ჩამონათვალს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს. თუმცა, არ არის გათვალისწინებული სტრატეგიული მიზნები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფა არის რეალისტური ამასთან, წარმოდგენილი ერთწლიანი გეგმა არ არის დამტკიცებული.

1.2.1(4) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად, მითითებულია 20.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.
2. შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
3. შემუშავებული 2023-2024 წლის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მეშვეობით სკოლამ უნდა განსაზღვროს, რა დონეზე შესრულდა წინა წლის მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის მიერ არჩეული სტრატეგია. რეკომედაციის სახით მითითებულია, რომ სამეურვეო საბჭომ კვარტალში ერთხელ მაინც განიხილოს მონიტორინგის შედეგები, დირექტორმა კი - თვეში ერთხელ. გათვალისწინებულია აგრეთვე გარე შეფასება. განსაზღვრულია, რომ თვითშეფასება და გარე შეფასება სკოლას საშუალებას მისცემს, აკონტროლოს საკუთარი საქმიანობა და დროული ზომები მიიღოს პრობლემების აღმოსაფხვრელად და მაღალი სტანდარტების მისაღწევად.

ინდიკატორი 1.2.2 (3) დაკმაყოფილებულია

2. ***ვინაიდან სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.***
3. ***ვინაიდან სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.***
4. ***ვინაიდან სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მასწავლებელი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი. აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია თანამშრომლებთან ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლებთან გაფორმებული განახლებული ხელშეკრულებები, მათ შორის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად. ასევე წარმოდგენილია სკოლის სტუქტურა, სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების ფუნქციები, თუმცა წარმოდგენილი სტრუქტურა სრულად არ შეესაბამება საშტატო განრიგით განსაზღვრულ თანამდებობებს. განსაზღვრულია ექიმის შტატი (სამინისტროსთან შეთანხმებით კონკურსის წესით სკოლას ჰყავს ექთანი), ასისტენტი (სკოლას არ ჰყავს ასისტენტი), ასევე არ არის შესაბამისი კათედრების რაოდენობა. დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის ექიმის, ფსიქოლოგის, ასისტენტის ფუნქციები, რომლებიც სკოლას არ ჰყავს. არ არის გაწერილი ექთნის ფუნქციები. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა სტრუქტურული ერთეულების დაკომპლექტებისა და არჩევის პროცედურა.
   სკოლის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებებით, სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით". ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ხელმძღვანელობს ჯგუფის დებულებით, რომელშიც გაწერილია ჯგუფის მიერ შესასრულებელი ფუნქციები. მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნირების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის

დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად. **სტრუქტურული ერთეულების შესახებ ინფორმაცია იყო ზოგადი ხასიათის და არ შეესაბამებოდა სკოლის რეალობას. არ იყო გამოკვეთილი ქვემდებარეობის და ანგარიშვალდებულების სისტემა. სკოლის სტრუქტურა არ იყო შესაბამისი საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებთან.**

3.1.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია. კერძოდ, წარმოდგენილია თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება N2/75 (16.11.2023), სადაც განსაზღვრულია როგორც კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი, ისე სკოლაში არსებულ თანამდებობის პირთა ფუნქციები. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „შეესაბამება".

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები გაწერილია წარმოდგენილ „სტრუქტურაში". ხოლო პერსონალის ფუნქციები ასახულია შრომით ხელშეკრულებებში. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია ის სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობების პირები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაზე. სკოლაში მოქმედი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი უფლებამოსილების შესრულებით ახორციელებს მასწავლებლის მხარდაჭერას სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

შესაბამისად, 3.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშტატო განრიგი;
2. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. შრომითი ხელშეკრულებები,
4. სკოლის სტრუქტურა.
5. სკოლის დირექტორის 2023 წლის 16 ნოემბრის N2/75 ბრძანება „თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ".

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსებით მართვის პოლიტიკის და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, შრომითი ხელშეკრულებები განსაზღვრავს დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლება-მოვალეობებს. შინაგანაწესი არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი, რაც დასტურდება ხელმოწერით.

თუმცა სკოლაში არ არის განსაზღვრული პერსონალის სამსახურში მიღების წესი და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სკოლის საჭირო, კვალიფიციური და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებას. სკოლას დამტკიცებული აქვს ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი. წარმოდგენილია 2022 წლის აგვისტოში ჩატარებული მასწავლებლის კონკურსის მასალები, რომელიც გამოცხადებული იყო teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი ქართული ენისა და ლიტერატურის ვაკანტური საათების შესავსებად, ასევე შეიქმნა საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში სკოლის პერსონალის გარდა შედიოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი. **სკოლას არ აქვს განსაზღვრული პერსონალის შესარჩევი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამსახურში მიღების მექანიზმი, კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და სხვა, რაც ხელს შეუწყობდა პერსონალის მართვის პროცესების სრულყოფილად განხორციელებას.**

3.1.2(1) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის

უზრუნველყოფის ვადად, მითითებულია 20.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

2. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია მასწავლებლის ვალდებულება სკოლის დირექციის მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა მასწავლებლის გაცდენისას ჩაატაროს მისი გაკვეთილები შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ.

დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მოადგილე, რომელიც რეგისტრირებულია მართვის საინფორმაციო სისტემაში. გარდა ამისა, დირექციისა და ადმინისტრაციის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან ფუნქციების შესრულებაში. სკოლის დირექტორის განმარტებით ფუნქციების დროული გადანაწილებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

3.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, დასაქმების გვერდზე ვაკანსიის გამოქვეყნებისას განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება კანონმდებლობით განსაზღვრული წევრებისგან. სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი ქართული ენისა და ლიტერატურის ვაკანტურ საათებზე დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ საკონკურსო კომისიამ მხარი არ დაუჭირა კონკურსანტს იმ მიზეზით, რომ **იგი სერტიფიცირებული იყო საბაზო და საშუალო საფეხურზე.** აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით" დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა სკოლის ბაზაში არსებული თანამშრომლების მონაცემები. შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის ივნისის

შემდეგ სკოლაში დასაქმებული 1 მასწავლებლის პირად საქმეში არ არის განთავსებული უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, ასევე არ იყო განთავსებული ყველა მასწავლებლის პირად საქმეში ნასამართლობის ცნობა. სკოლაში ჩატარებული კონკურსი ეწინააღმდეგება ობიექტურობის პრინციპს. **სკოლის დირექტორთან და მოადგილესთან როგორც საგნის მასწავლებლებთან, შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული არ იყო. ასევე არ იყო განსაზღვრული პერსონალის შერჩევის პროცედურები (გარდა მასწავლებლის) და დადგენილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ერთი მასწავლებლის პირად საქმეში არ არის უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, ყველა მასწავლებლის პირად საქმეში არ არის ცნობა ნასამართლობის შესახებ.**

3.1.2(3) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია. კერძოდ, წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებები სკოლის დირექტორთან და დირეტორის მოადგილესთან როგორც მასწავლებელთან. აგრეთვე შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის სრულად უზრუნველყოფის ვადად, მითითებულია 17.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

4. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო თანამშრომელთა ბაზას. სკოლაში დასაქმებულია 32 თანამშრომელი, მათგან 21 მასწავლებელია, მათ შორის 1 სპეციალური მასწავლებელი (13 უფროსი, 6 წამყვანი, 1 უსტატუსო). სკოლას ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზურნველყოფის კოორდინატორი, ექთანი, დარაჯი (2), დამლაგებელი (3), ცეცხლფარეში. პირადი საქმეებისა და შრომითი ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. **ერთი მასწავლებლის, (რომელიც იმავდროულად არის სკოლის დირექტორის მოადგილე) კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**
საათობრივ დატვირთვაში ასევე გათვალისწინებულია სკოლის დირექტორისა და მისი მოადგილის საათობრივი დატვირთვა, რაც არ აღემატება კვირაში 10 საათს. ზოგიერთი ხელშეკრულება არ იყო ხელმოწერილი დასაქმებულების მიერ.

3.1.2(4) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის სრულად უზრუნველყოფის ვადად, კერძოდ, კონკურსის საფუძველზე შესაბამისი კვალიფიციური კადრის შერჩევის ვადად მითითებულია 15.01.2023-დან 15.06.2024-მდე პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ

გადაწყვეტილებებს. თანამშრომლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე. მასწავლებლები ჩართულები არიან კურიკულუმების შექმნის პროცესში და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს.

შესაბამისად, სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს და 3.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად ვერ დგინდება სკოლის მიერ სკოლის წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარების მექანიზმების არსებობა, მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლისათვის განვითარების ხელმისაწვდომობას და თანაბარ პირობებს. ძირითადად ეს ეხება მასწავლებელთა, პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში მონაწილეობას, სხვადასხვა სასწავლო მასალებით (წიგნებით, ლიტერატურით) უზრუნველყოფას. სკოლის შინაგანაწესით თანამშრომელთა მოტივაციის ზრდის მექანიზმად გამოყოფილია წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

სკოლას გასულ წლებში აქვს წახალისების ზომების გამოყენების გამოცდილება.

3.1.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
4. შრომითი ხელშეკრულებები;

5. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
6. მასწავლებლებთან გაფორმებული N5/10 და N5/12 შრომითი ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის შეფასება ძირითადად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით და უკუკავშირის მიცემით, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილზე და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. განხორციელებული შეფასებების საფუძველზე იგეგმება გაუმჯობესების გზები. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან საქმოქმედო გეგმაში გაწერილია მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის შესაბამისი აქტივობები (პედაგოგთა საჭიროებების დადგენა და პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა, ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა (ინოვაციური

სტრატეგიები/ მეთოდები; სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება), ტრენინგ- სემინარებზე მიღებული ცოდნის კონსულტირება და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ორგანიზება/ სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზება/განხილვა).

3.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ***ვინაიდან ხორციელდება პირველადი ავტორიზაცია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.***
3. სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად კარიერული ზრდის თვალსაზრისით ძირითადად განსაზღვრულია ტრენინგებში მონაწილეობა, სასწავლო მასალებით (წიგნებით, ლიტერატურით) უზრუნველყოფა. ასევე სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის შესაბამისი აქტივობების განხორციელება. აღნიშნული მიზნად ისახავს დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ამჟამადაც, სკოლის პედაგოგები აქტიურად ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი სერტიფიკატები და ცნობები. შესაბამისად, სკოლის მიერ გადადგმული ქმედითი ნაბიჯები პოზიტიურად აისახება სკოლის თანამშრომლების კარიერულ წინსვლაზე.

3.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი არ არის თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის ცალკე მარეგულირებელი აქტი. თუმცა სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი თანამშრომლის გარემოსთან სწრაფი ადაპტაციის მიზნით, სკოლა ეხმარება მათ გაეცნოს დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა დასაქმებულს აცნობს სკოლის კოლექტივს, შიდა რეგულაციებს. შესაბამისად, დგინდება, რომ **3.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ინიციატივები პერსონალის მხრიდან ძირითადად გამოიკვეთება ზეპირსიტყვიერად. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმებად გათვალისწინებულია: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ძირითადად სკოლა წახალისებას ახდენს მადლობის გამოცხადებით ან სიგელით დაჯილდოვებით. სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ რა სახის დახმარება ესაჭიროებათ პროფესიული განვითარების კუთხით.

3.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

2. ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები;

3. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

4. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული არ აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, შესაბამისად ვერ დგინდება რა პროცესებზეა დაფუძნებული საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა. ასვე ვერ დგინდება როგორ მოხდება შეფასება, უკუკავშირი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. ამდენად, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა არ არის დაფუძნებული პროცესულ მიდგომაზე და არ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

3.3.1(1) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია. კერძოდ, წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „შეესაბამება''.

2. სკოლას არ აქვს შემუშავეული დოკუმენტი, სადაც შესაძლებელია იდენტიფიცირებული და აღწერილი იყოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. აღნიშნული პროცესების შესახებ ინფორმაცია ვერ მივიღეთ სკოლის დირექტორისგანაც. თუმცა ცალკეულ საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებით მწირი ინფორმაცია ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა დოკუმენტაციაში: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, საქმისწარმოების წესი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა.

3.3.1(2) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია. კერძოდ, წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „შეესაბამება''.

3. სკოლას არა აქვს დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში მითითებულია გასაჩივრების ადგილი, თუმცა დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება რა პროცედურით უნდა მოხდეს განცხადების/საჩივრის წარდგენა, რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს განცხადება/საჩივარი, განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის ზოგადი წესი და ვადები, როგორ უნდა მოხდეს დისციპლინური სახდელის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სკოლას შემუშავებული არ აქვს. სკოლის შინაგანაწესშიც გაწერილია დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი. როგორც გასაუბრებით დადგინდა სკოლისათვის საჩივრით არავის მიუმართავს, ხოლო განცხადებების განხილვა ამ წესის ამოქმედებამდე ხდებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

3.3.1(3) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა რომელშიც შესაბამისობის სრულად

უზრუნველყოფის ვადად, მითითებულია 20.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

4. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებებისა და თავისუფლების დაცვას შიდა რეგულაციებითა, რაც გარანტირებული აქვთ ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 თავით. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

3.3.1.(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები. .

შინაგანაწესი
შრომითი ხელშეკრულებები
სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
ხარისიხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სხვადასხვა საშუალებებით. სკოლის ფოიეში გამოკრულია შინაგანაწესი, მოსწავლის მიღების წესი და ეტაპები, მოსწავლის ქცევის კოდექსი და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მოსწავლის ქცევის წესები გამოკრულია საკლასო ოთახებშიც. სკოლას აქვს სოციალური ქსელი (დახურული ჯგუფი), სადაც როგორც გასაუბრების დროს აღნიშნეს თავსდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ძირითადად ინფორმირება ხდება უშულო კონტაქტით, აგრეთვე კლასების დამრიგებლებთან და დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, სადაც აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტებისა და ექსკურსიების შესახებ, იხილავენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს და სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს. მეოთხე კლასის ბოლოს მშობელთა კრებაზე დაფიქსირებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება მეორე უცხოური ენის შეთავაზება მომდევნო წლიდან. მშობელთან კომუნიკაციისთვის სკოლა ეფექტურად იყენებს სკოლის ელექტრონულ ჟურნალს.

   რჩევა: სკოლას მიეცეს რჩევა შექმნას სოციალურ ქსელში საჯარო გვერდი, სადაც განთავსებული სიახლეები და განხორციელებული აქტივობები ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის.

   3.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით, რითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული დასტურდება სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მასწავლებლების და მშობლების წარმომადგენლის წევრობით. სამეურვეო საბჭო იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სკოლის ბიუჯეტთან, დისციპლინური კომიტეტის არჩევასთან, სააპელაციო კომიტეტის არჩევასთან, სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

   პედაგოგიურ საბჭოში და საგნობრივ კათედრებში მასწავლებლების ჩართულობით უზრუნველყოფილია პედაგოგების მონაწილეობა ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

   დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში არიან მხოლოდ მასწავლებლები, მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეების. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტებულია წარმომადგენლობითად სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლისგან (პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეები, დირექტორი, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრსი წარმომადგენელი, რომლებიც თანამონაწილეობით იხილავენ სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს.

   შესაბამისად, 3.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი

მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
-

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლა არის შემოსაზღვრული, სკოლის შენობაში განთავსებულია სახანძრო აღჭურვილობა, უცხო პირთა გადაადგილებისგან დაცვის მიზნით სკოლას ჰყავს ორი დარაჯი (დღის და ღამის) სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა გადაადგილება დაიშვება დირექციასთან შეთანხმებით, შესაბამის ჟურნალში რეგისტრაციის შემდეგ. **სკოლის შენობა არ არის აღჭურვილი ვიდეო-სათვალთვალო კამერებით.**

შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სართულებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ასევე სკოლაში დამონტაჟებულია ხანძრის დეტექციის სისტემა, თუმცა როგორც სკოლის დირექტორმა განმარტა აღნიშნული სისტემა არ არის მოქმედი და არც ინსტრუქტაჟი ჩატარებულა როგორ ხდება მისი გამოყენება.

სკოლის ტერიტორიაზე არსებული ელექტრო გაყვანილობა არის დაცულ მდგომარეობაში.

სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია. თუმცა **სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული).**

ასევე **სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.**

სკოლაში არ არის შექმნილი საგანგებო მართვის შტაბი და არ არის წარმოდგენილი უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა..

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად და აწარმოებს საჭირო ინფორმაციის აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში. სკოლას დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების წესი. სკოლის დირექტორის განმარტებით სკოლისთვის გამოყოფილია ექიმის საშტატო ერთეული, თუმცა ჩატარებული კონკურსის შესაბამისად ვერ მოხდა ექიმის შერჩევა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით მოხდა ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირთან ხელშეკრულების გაფორმება.

როგორც დათვალიერებით დადგინდა, სამედიცინო კაბინეტში არ არის კომპიუტერი, შირმა, ასევე სრულად არ არის ის მედიკამენტები, რომლებიც განსაზღვრულია 2022 წლის 21 მარტის 41/ნ/01-23/ნ ბრძანებით. როგორც სკოლის ექთანმა განმარტა არსებული მედიკამენტები თავად სკოლის თანამშრომლებმა შეიძინეს.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრხოების სპეციალისტი, შესაბამისად, არ აქვს დანერგილი შრომის უსაფრთხოების სისტემა, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღება.

3.4.1(1) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა რომელშიც შესაბამისობის სრულად უზრუნველყოფის ვადად, მითითებულია 17.11.2023-დან 01.05.2024-მდე პერიოდი. ასევე, წარმოდგენილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაგზავნილი წერილები, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება''.

2. სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგების გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ წესრიგს. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის

წესისა და პირობებით“ და განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი, ასევე უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც აკონტროლებენ სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთებით გამოცხადებას. სკოლას შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული აქვს თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი და კონტროლზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ინფორმაცია.

სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, მიიღოს შესაბამისი რეკომენდაციები და წარუდგინოს სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის.

შესაბამისად, დგინდება, რომ 3.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ძალადობის ფორმებთან დაკავშირებით და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სახალხო დამცველის, 112-ის და მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ნომერი, რომელსაც შეუძლია მიმართოს ყველა მოსწავლემ თუ თანამშრომელმა. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.

შესაბამისად, დგინდება, რომ 3.4.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას ურუნველყოფს დამლაგებლებისა და სანიტარულლი რესურსების გამოყენებით. სკოლაში დასაქმებულია სულ 3 დამლაგებელი, როგორც გასაუბრებით დადგინდა, სკოლა ფლობს ინფორმაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების (,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში”) შესაბამისად დალაგების პირობების თაობაზე, რაც ასევე დასტურდება დამლაგებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი ვალდებულებებით. სკოლის ექთანი ზედამხედველობს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები მამაკაცებისა და ქალებისთვის, გოგონებისა და ვაჟებისთვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული სველი წერტილები ყველა სართულზე. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა). **აღნიშნულიდან გამომდინარე. 3.4.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ”. მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, რომელშიც განსაზღვრულია ის ინფორმაცია ინფორმაცია, რომელიც სკოლაში მუშავდება. სკოლას არ აქვს გაწერილი პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, მაშინ როდესაც სკოლა ამუშავებს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, როგორიცაა სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, გამოსახულება და სხვა. მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების დაცვის ნორმა, აგრეთვე შრომით

ხელშეკრულებების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება. **რჩევა: სკოლამ მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დაცვის ამსახველი ნორმების ასახვა.**

შესაბამისად, ინდიკატორი 3.4.1(5) დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. პერსონალური მონაცემების დაცვის წესი ადგენს თუ როგორ ახორციელებს სკოლა მონაცემების დაცვას. **შესაბამისად, დგინდება, რომ ინდიკატორი 3.4.1(6) დაკმაყოფილებულია.**

7. ვინაიდან ხორციელდება სკოლის პირველადი ავტორიზაცია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დარაჯის ხელშეკრულება;
2. შინაგანაწესი;
3. ექთნის ხელშეკრულება;
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი
5. საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
6. სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
7. სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესი;
8. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის ბრძანება;
9. მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და ოქმები;
10. რეფერირების ინსტრუქცია და რეფერირებაზე უფლებამოსილი პირის ბრძანება;
11. დამლაგებლის ხელშეკრულება;
12. სამედიცინო დახმარების წესი

13. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები და პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
14. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.
15. **სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი 22 სექტემბრის N1007643323 წერილი.**
16. **სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაგზავნილი 18 ნოემბრის MES 0 23 0001573428 წერილი.**
17. **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 15 ნოემბერს გაფორმებული N-T90/11 ხელშეკრულება.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 29160 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. საჯარო რეესტრის ამონაწერი შესაბამისად მიწის ნაკვეთზე განთავსებულია 1798 კვ. მ სკოლის სამსართულიანი ახლად რებილიტირებული შენობა, 917 კვ. მ ორსართულიანი სარემონტო სკოლის შენობა, 22.32 კვ.მ დამხმარე ფართი, 28.01 კვ.მ საქვაბე და 715 კვ.მ სპორტული დარბაზი. სკოლის ორსართულიანი და სამსარულიანი შენობები ერთმანეთთან დაკავშირებულია დერეფნით და ქმნის ერთიან სივრცეს. ორივე კორპუსში განთავსებულია 6-6 საკლასო ოთახი. ახლადრეაბილიტებულ სამსართულიან შენობაში ასევე განთავსებულია დირექტორის ოთახი, ბუღალტრის ოთახი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ასევე ოთახი ესთეტიკის კათედრისათვის, სამეურნეო სათავსოები. შენობაში არის არაერთი თავისუფალი სივრცე, რომელსაც პერსონალი იყენებს საჭიროებების შესაბამისად.
ყველა სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი, სველი წერტილები გოგონებისათვის და ბიჭებისათვის, სველი წერტილი პერსონალისათვის, ასევე ადაპტირებული სველი წერტილები სადაც შესასვლელ კარებებზე უსინათლო პირთათვის დამაგრებულია ადაპტირებული წამკითხველი. ორსართულიან შენობაში განლაგებულია საკლასო ოთახები და საპირფარეშოები. სკოლაში დამოტაჟებულია ლიფტი.
საკლასო ოთახები არის დიდი ფართობის, ნათელი, აღჭურვილი ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით. სამასწავლებლოში განლაგებულია მაგიდები და სკამები. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებით, პროექტორით.
სკოლის ეზოში არის კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედანი. ასევე სკოლის ეზოშია სრულად კეთილმოწყობილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სპორტული დარბაზი, სადაც დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე. სპორტულ დარბაზში არის სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. ასევე, ადაპტირებული სველი წერტილები და საშხაპეები. როგორც,

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, სპორტული დარბაზისათვის ადგილობრივმა თვითმმართველობამ სკოლას გადასცა სხვადასხვა სახის ინვენტარი და ისინი უზრუნველყოფენ ბავშვების მომზადებას სპორტულ სახეობებში.

სკოლის ეზო არის კეთილმწყობილი. ეზოში, გარდა კეთილმოწყობილი სპორტული მოედნისა არის ასევე დამატებითი სივრცე, სადაც სკოლის დირექტორის განმარტებით სურვილი აქვთ სამომავლოდ მოაწყონ თანამდეროვე სტანდარტების საფეხბურთო მოედანი. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თხოვნის საფუძველზე, სკოლის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია საბავშვო ბაღის აშენება და ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები.

სკოლას ავტორიზაციის განაცხადი წარდგენილი აქვს 200 მოსწავლეზე. დგინდება, რომ ავტორიზაციის ვიზიტის დროისთვის სკოლა მზაობას აცხადებს იმდენ მოსწალეზე რამდენი სასკოლო ინვანტარი ერიცხება ბალანსზე ვარგის მდგომარეობაში სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის ბიბლიოთეკში განთავსებული წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მხატვრულ ლიტერატურას. სკოლა თანამშრომლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების დიდი ნაწილი სწორედ მათგან გადმოცემული საჩუქარია.

სკოლას აქვს სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების და საკანცელარიო ნივთების მარაგი.

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. როგორც გასაუბრებით დადგინდა სკოლას არ მიუმართავს სამინისტროსათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით და არც რეაბილიტაციის დროს იყო პროექტით გათვალისწინებული ლაბორატორიის მოწყობა. სკოლაში არსებობს მოძველებული ინვენტარი (სხვადასხვა ფიზიკური ხელსაწყოები, მულაჟები) და რესურსი.

შესაბამისად, 3.5.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. ლაბორატორიით სარგებლობაზე შეთანხმება ძირითადად ხდება ზეპირი ფორმით.

სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუზღუდავად შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის ბიბლიოთეკით. ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის მუშაობას, აწარმოებს ბიბლიოთეკის საქმიანობისათვის აუცილებელ დოკუმენტაციას. კერძოდ, აღრიცხულია სკოლის ბალანსზე არსებული საბიბლიოთეკო ფონდი, ასევე აწარმოებს შესაბამისად დამუშავებულ რესურსების კატალოგს, აღირცხავს გაცემულ და დაბრუნებულ წიგნებს. სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში.

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სამასწავლებლო. როგორც მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ამ პროცესებში ჩართულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას, პროექტორებს, სხვა რესურსებს.

3.5.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლს ჰყავს 3 სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო სივრცე და რესურსები. სკოლას ყველა სართულზე აქვს ადაპტირებული სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. ადაპტირებულია სველი წერტილები სპორტულ

დარბაზში. ასევე საპირფარეშოებში შესასვლელ კარზე დამაგრებულია წამკითხველი უსინათლო პირთათვის. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი და შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი.

3.5.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს შიდა კეთილმოწყობილი და დაცული ეზო, სადაც იმართება აქტივობები. შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებს საშუალება აქვთ დაისვენონ როგორც სასკოლო სივრცეში არსებულ გარემოში, ისე ეზოში. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. მოსწავლეები აქტიურად სარგებლობენ ბიბლიოთეკით და კომპიტერული ლაბორატორიით.

3.5.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია რესურსები სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. სკოლა მოსწავლეებს პირველი კლასიდან გადასცემს პორტაბელურ კომპიუტერებს.

სკოლას აქვს შემდეგი საგანმანათლებლო რესურსები:

- ✓ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;
- ✓ დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

სკოლას ყველა მოსწავლეს უზრუნველყოფს სასკოლი სახელმძღვანელოებით, რომელიც ყოველი წლის დასაწყისში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. თუმცა სკოლაში არსებული წიგნადი ფონდი გასაახლებელია და სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეთა საჭიროებებს.

3.5.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; აზომვითი ნახაზი;
2. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
3. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძღვანელოების გადაცემის თაობაზე.
4. მშობელთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი კომპიუტერის გადაცემაზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონიებს კომპიუტერული ლაბორატორია. სულ სკოლაში არის 13 კომპიუტერი, მათ შორის- 3 პერსონალური და 10 პორტატული კომპიუტერი. ასევე აქვს 1 პროექტორი და 3 პრინტერი (მათ შორის 1 ფერადი). კომპიუტერით უზრუნველყოფილია სკოლის დირექტორი, საქმის მწარმოებელი და ბუღალტერი. სკოლის კომპიუტერული ტექნიკის პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა., თუმცა გასაუბრების დროს სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ინტერნეტით სარგებლობა ხშირად შეფერხებულია და თითქმის ყოველდღიურად უკავშირდებიან შესაბამის პირებს ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას **3.6.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც მუხლი 5 შეეხება ისტ-ის ლბორატორიას. მასში განსაზღვრულია ვის აქვს ლაბორატორიით სარგებლობის უფლება, აგრეთვე რა უფლებები აქვთ მათ კომპიუტერებით სარგებლობის

დროს, თუმცა არაფერია ნათქვამი თუ ვინ ხელმძღვანელობს ისტ-ის ლაბორატორიას და შესაბამისად არაა გაწერილია მისი ფუნქციები. მასწავლებლები კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ საჭიროებიდან გამომდინარე , რაიმე სახის წერილობითი გრაფიკი შედგენილი არ არის, თუმცა ვიზიტის დროსაც დაადასტურეს, რომ შეთანხმება ხდება ზეპირი კომუნიკაციით. საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. საგაკვეთილო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსაწავლეებს. ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. რაც შეეხებათ მასწავლებელს როგორც მათ აღნიშნეს, ისინი იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას ტექსტის მოძიებისათვის, გადმოსაწერად, სარგებლობენ ელექტრონული რესურსით. გარდა ამისა, I-IV კლასის მოსწავლეები აღჭურვილები არიან პორტაბელური კომპიუტერებით, რომელსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცეში.

3.6.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

1. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
2. საინვენტარო აღწერილობების აქტები.

3.6.2სკოლაში საქმის წარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად და დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის

მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლის საქმისმწარმოებელს მინიჭებული აქვს უნიკალური მომხმარებლის სახელი და პაროლი და ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას.

3.6.2(1)ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow.emis.ge) საშუალებით, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების რეგისტრაცია (ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების).
   სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი. eSchool.emis.ge-ს მეშვეობით ხდება სკოლის საშტატო განრიგის პროექტის მომზადება სკოლის ბუღალტრის მიერ და სამინისტროსთან შეთანხმება. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა. სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია.
   პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge
   გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა: khovle@mes.gov.ge. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. დგინდება, რომ სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა.

   შესაბამისად,3.6.2(2)ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილზე. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.**შესაბამისად, 3.6.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ასევე სკოლა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ფლობენ ინფორმაციას ყველა იმ საქმინობის შესახებ, რომელსაც სჭირდება მაკონტროლებელი ორგანოების თანხმობა (იჯარა, სარგებლობაში გადაცემა და სხვა). **შესაბამიად, 3.6.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი;
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი 10 დეკემბრის ანგარიშის წარდგენაზე;
3. სკოლის პროფილი eSchool.emis.ge-ს, Eflow.emis.ge-სა და procurement.gov.ge-ს სისტემაში. სკოლის ელექტრონული ფოსტა khovle@mes.gov.ge.

3.6.3.სკოლამიზნობრივადწარმართავსსაზოგადოებასთანურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებგვერდი/ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრებისმექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტოინფორმაცია.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. სკოლას აქვს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი. (https://skolebi.emis.ge/schools/2422?schoolName) თუმცა იგი არ არის გააქტიურებული და არ არის მასზე განთვსებული შესაბამისი ინფომაცია. სკოლას ასევე აქვს დახურული ჯგუფი სოციალურ ქსელში და დაინტერესებულ პირებს არ აქვთ მასზე წვდომის შესაძლებლობა. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. შესაბამისად, **საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია არ ხდება ვებ გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით**

3.6.3(1)ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა რომელშიც შესაბამისობის სრულად უზრუნველყოფის ვადად, მითითებულია 20.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. ასევე, წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 ნოემბრის N2/74 ბრძანება ,,სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლაში საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი სკოლის ვებ.გვერდის პასუხ"ისმგებელი პირის შესახებ". შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება'',

შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

2. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაციის გავრცელება ძირითადად ხდება დირექციასთან შეთანხმებით დამრიგებლების მეშვეობით. ასევე აღინიშნა, რომ სკოლის მიერ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია, მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები და სხვა არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდებიდან. **3.6.3(2)ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას აქვს სხვადასხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში, ელექტრონული ფოსტა, სკოლის კანცელარია, რომელზეც შესაძლებელია დამყარდეს ორმხრივი კომუნიკაცია. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაცია თავს იყრის დირექტორთან, მუშავდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება უფლებამოსილი პირების მიერ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.6.3(3)ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას არ აქვს მოქმედი სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი,

   3.6.3(4) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა რომელშიც შესაბამისობის სრულად უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 20.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. ასევე, წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 ნოემბრის N2/74 ბრძანება „სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლაში საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი სკოლის ვებ.გვერდის პასუხ"ისმგებელი პირის შესახებ". შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

5. სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი არ არის მოქემდი. შესაბამისად, მასზე არ არის განთავსებული ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაცია.

   3.6.3(4) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა რომელშიც შესაბამისობის სრულად უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 20.11.2023-დან 30.12.2023-მდე პერიოდი. ასევე, წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 ნოემბრის N2/74 ბრძანება „სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლაში საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი სკოლის ვებ.გვერდის პასუხისმგებელი პირის შესახებ". შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''.

   დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

1. სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი (არა აქტიური) (https://skolebi.emis.ge/schools/2422?schoolName)
2. დახურული ჯგუფი სკოლის სოციალური ქსელში https://www.facebook.com/groups/KhovlePublicSchool/

3. სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 ნოემბრის N2/74 ბრძანება ,,სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლაში საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი სკოლის ვებ.გვერდის პასუხისმგებელი პირის შესახებ“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტი ძირითადად შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან. სკოლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან იღებს დამატებით პროგრამულ დაფინანსებას დაფინანსებას სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისათვის. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის, რესურსების შეძენასა და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ხმარდება ყველა იმ საჭირო საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის. სკოლამ ასევე წარმოადგინა 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.7.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ბიუჯეტის, სამეურვეო საბჭოს ოქმებისა და შესყიდვების წლიური გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების დაგეგმვას, ცვლილებას, განკარგვასა და მონიტორინგს. სკოლის ბიუჯეტზე დაყრდნობით ყოველწლიურად სკოლა ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. ასევე, საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება შესყიდვების გეგმის კორექტირება. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების დადგენას ძირითადა ახდენს სკოლის დირექტორი და ბუღალტერი. საჭიროებისა და მოცულობების კვლევის შედეგად ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება. სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს. **დგინდება, რომ 3.7.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ სამეურვეო საბჭოს ოქმი

სკოლის ბიუჯეტი

2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი
სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური საქმიანობის შესახებ დირექტორის ანგარიშზე.

წლიური შესყიდვების გეგმა.

წლიური შესყიდვების გეგმის კორექტირების ბრძანება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დაცულია მოსწავლის უფლებები და კანონიერი ინტერესები. ამას ადასტურებს სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილი თანაბარი პირობები განათლების მისაღებად. სკოლის ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსებით მოსწავლეები სარგებლობენ დისკრიმინაციის გარეშე და თანაბრად. უფლებების დაცვის გარანტიას წარმოდგენს სკოლის შინაგანაწესი და ის ღონისძიებები, რასაც სკოლა ატარებს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვის კუთხით. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მშობლების პერსონალური მონაცემების სათანადო წესით დამუშავებასა და დაცვას. მშობელს შეუძლია წინასწარ შეთანხმებით შეხვდეს კლასის დამრიგებლებს და გაეცნოს სასურველ ინფორმაციას ინდივიდუალურად ორგანიზებულ შეხვედრაზე, ასევე მშობელთა კრებებზე. სკოლას ჰყავს დარაჯი, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, შემუშავებული აქვს სართულებზე მორიგეობის განრიგი. სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, ასევე უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ამა თუ იმ პროცესებზე პასუხისმგებელი პირებისა და სხვადასხვა უწყებებთან უფლებების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით საკონტაქტო ტელეფონის ნომრები. გამოკრულია მოსწავლეთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

შესაბამისად, 4.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ განსაზღვრული მოსწავლის უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ძირითადად გაზიარებულია დამრიგებელების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარებულ მშობელთა კრებებზე, სადაც აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის ფუნქციებს, ასევე სკოლის მიერ შემუშავებულ მოსწავლეთა ქცევის კოდექსს. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია საჯარო სივრცეში.

შესაბამისად, 4.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას მოსწავლის მშობლებთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. ასევე გაფორმებულია ხელშეკრულებები სახელმძღვანელოების უსასყიდლო გადაცემის თაობაზე.

შესაბამისად, 4.1.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება.
3. მშობელთა კრების ოქმი;
4. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის ბრძანება;
5. პერსონალური მონაცემების დაცვის წესი
6. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვა, აგრეთვე საფეხურის დაძლევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, სკოლის ადმინისტარციის წევრებმა გასაუბრების დროს განმარტეს, რომ აღნიშნული ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის'' თანახმად. სკოლაში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის'' შესაბამისად. საფეხურის დაძლევა რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით, სკოლას წარმოდგენილი აქვს ბრძანებები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმებით. თუმცა შესაბამისი აქტების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მათში სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია ისეთი აქტი, რომლებიც ამჟამად უკვე ძალადაკარგულია.

სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდა მარეგულირებელი ერთიანი დოკუმენტი, რომელიც იქნება მკაფიო და უფრო ნათელს გახდის ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის აღნიშნული პროცესების განხორციელების , ასევე უზრუნველყონ სკოლის დირექტორის ბრძანებებში, კერძოდ, მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანებებში საფუძვლად მითითებული 2011 წლის 7 მარტის N34/ნ ბრძანების ნაცვლად მიუთითონ ამჟამად მოქმედი ბრძანების რეკვიზიტები.

4.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი ბრძანებებით და გასაუბრებით დასტურება, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეწყვეტის მექანიზმებს; 2023-2024 სასწავლო წლისათვის მოსწავლის პირველ კლასში მიღება განხორციელდა მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სპეციალურ პორტალზე (registrations.emis.ge) რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ. ასევე წარმოდგენილია საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და მოსწავლის ამორიცხვის ბრძანებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ **სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის საფეხურის დაძლევის წესები.**

4.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. დამრიგებლებთან გასაუბრებითა და მშობელთა კრების ოქმებით დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმაციას. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული

კონკურსების, ოლიმპიადების და ღონისძიებების შესახებ. მე-4 კლასის ბოლოს, სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, საშუალებას აძლევს მშობელთა კრებაზე დააფიქსირონ აზრი, თუ რომელი უცხოური ენის შესწავლა სურთ მოსწავლეებს მეორე უცხოური ენის სახით და აძლევს ენის არჩევის შესაძლებლობას. მოსწავლეებისა და მშობლების არჩევანს სკოლის დირექცია ითვალისწინებს და ასახავს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ხელმისაწვდომია მშობლებისა და მოსწავლეებისათვის.

4.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება. სკოლას აქვს დახურული სოციალური ქსელი (ფბ გვერდი), სადაც როგორც სკოლის დირექტორმა განმარტა ხდება ინფორმაციი მიწოდება.

შესაბამისად, 4.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევის შესახებ ბრძანებები
2. მშობელთა კრების ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დგინდება მოსწავლეთა ადაპტაცია ძირითადა ხდება კლასის დამრიგებლების მიერ, რომლებიც პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეებს აცნობენ ახალ გარემოს, კლასელებს. სკოლას არ წარმოუდგენია დოკუმენტი (სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადამრიგებლო პროგრამაში, შინაგანაწესი და სხვა), რაც დაარეგულირებდა მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. შესაბამისად, არ არის გაწერილი თუ როგორ მოხდება ადაპტაცია მობილობით ჩარიცხულ მოსწავლეებთან და სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებთან მიმართებაში, ვინ იქნება ჩართული აღნიშნულ პროცესში და სხვა. **შესაბამისად, მუხედავად იმისა, რომ მოსწავლეს ექმნება შესაბამისი პირობები, სკოლას მიეცა რჩევა, მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესი გაწეროს წერილობით, მოსწავლის ადაპტაციის პრობლემის პრევენციის ან/და დროული რეაგირების მიზნით.**
შესაბამისად, 4.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. როგორც სკოლის დამრიგებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, კლასების დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან ისეთი გარემო, რაც მათ დამეგობრებას შეუწყობს ხელს და რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება მოსწავლის ადაპტაციის პროცესზე. სკოლაში ირიცხება 3 სსსმ მოსწავლე, რომელთატვისაც შექმნილია სრულად ადაპტირებული გარემო. სკოლა ინფორმირებულია ინკლუზიური სწავლების პრინციპებთან დაკავშირებით და ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.
შესაბამისად, 4.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია, რომ თუ მოსწავლე თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის, მას უფლება აქვს სემესტრული გამოცდის საფუძველზე აიმაღლოს სემესტრული შეფასება, თუმცა ამგვარი გამოცდა სკოლაში არ ჩატარებულა. სკოლის

დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და უტარდებათ დამატებითი მეცადინეობებიც ინდივიდუალურად. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს კონსულტაციებს უწევენ ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობის წინ. შესაბამისად, დგინდება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

4.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. მოსწავლეების უფლებების შესახებ სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია გამოყოფს სივრცეებს სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების მოსაწყობად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შინ სწავლების მომსახურებას, შესაბამისი წინაპირობისა და პროცედურის დაცვით. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, **შესაბამისად, 4.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან არაფორმალურ აქტივობებს, როგორიცაა ექსკურსიები, საქველმოქმედო აქციები, ვიზიტები სხვადასხვა დაწესებულებაში, შეჯიბრებები და სხვა. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად უწყობს ხელს მსგავსი არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, რასაც ადასტურებს სკოლაში განხორციელებული მუშაობა. ინიციატივები არის მუდმივად წახალისებული და მხარდაჭერილი. ხელოვნების მასწავლებლის მხარდაჭერით სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-დათვალიერება. დედამიწის დღესთან დაკავშირებით დაწყებითი კლასების მოსწავლეების მონაწილეობით მოეწყო ასფალტზე ხატვა. ნარჩენების გადამუშავების დღესთან დაკავშირებით მოსწავლეები დაესწრნენ სსიპ გარემოს დაცვითი და ინფორმაციიშ განათლების ცენტრის ორგანიზებულ გამართულ ვებინარს ,რის შემდეგაც დაასუფთავეს სოფლილს მიმდებარე ტერიტორია. სკოლაში მოქმედებს სამოქალაქო განათლების კლუბი ,,ერთობა", სკოლა თანამშრომლობს საზოგადოება ,,ბილიკთან", რომელთა ინიციატივით ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები. მოსწავლეთ ინიციატივის საფუძველზე განთავსდა სოფელში სკოლისაკენ მისასვლელი გზის მანიშნებელი ბანერი, მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით გათვალისწინებული იქნა მოსწავლეების სურვილი და სკოლას გადაეცა მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარი, გაიხსნა უფასო ჭიდაობის წრე, რამაც გაზარდა მშობელთა ჩართულობა

შესაბამისად, 4.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში მოსწავლთა აზრის გათვალისწინებითა და უკუკავშირის მიღების მიზნით განთავსებულია ე.წ ,,პრობლემების ყუთი" სადაც მოსწავლეებს აქვთ აზრის თავისუფლად გამოხატვის და უკუკავშირის მიღების მიზნით შესაძლებლობა. V კლასში ენის არჩევისას გათვალისწინებულია მშობელთა ინტერესები. უკუკავშირი ობიექტურია, ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტებსა და ქცევებს. მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების გასარკვევად დამრიგებლები ესაუბრებიან მოსწავლეებს და მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა იდეების მიღება და შემდეგ გაზიარება. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა ინტერების გათვალისწინებით და მათი/მშობლების უკუკავშირის საფუძველზე დაფუძნდა სასკოლო

კლუბები. დგინდება, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა მიწოდების პროცესში.

4.2.1(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხო ენის არჩევასთან დაკავშირებით

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორი და მასწავლებელის აქტიურად არიან ჩართულები, რათა მოსწავლეებისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება. მოსწავლეებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიების შესახებ. მოსწავლეების მხრიდან განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს თავდაცვის აკადემიიდან მათი კურსდამთავრებულების ვიზიტები, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტები. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კასპის პროფესიულ კოლეჯთან. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეები კოლეჯში სწავლას არ აგრძელებენ. კლასის დამრიგებელების მხრიდან კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი. სადამრიგებლო პროგრამებში არ იყო გათვალისწინებული მოსწავლეებისათვის ზემოაღნიშნული მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

რჩევა: კლასის დამრიგებლებმა სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ ინფორმაცია

ინდიკატორი 4..2.2(1) დაკმაყოფილებულია

2. ინფორმაციას, თუ ვის რა პროფესიული განათლების მიღება ან სწავლის უმაღლეს სასწავლებელში გაგრძელება სურს, ასევე ინფორმაციას საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, მასწავლებლები ძირითადად აწვდიან კლასის საათის ფარგლებში. ისინი აძლევს რეკომენდაციას აირჩიონ პროფესია საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 4..2.2(2) დაკმაყოფილებულია

3. როგორც სკოლის დირექტორმა განაცხადა კვლევა იმის თაობაზე, თუ რა სახის პროფესიებია პოპულარული თავიანთი სკოლის კურსდამთავრებულებისთვის, არ ჩაუტარებია, თუმცა, სკოლა კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საშუალებით საშუალებით ცდილობს გაწეული მომსახურეობის დაგეგმვას და განხორციელებას.

4.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4.2.3 სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ჰყავს 3 სსსმ მოსწავლე. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულიად ადაპტირებულია და მორგებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლას გააჩნია სათანადო სასწავლო რესურსებით აღჭურვილი რესურს-ოთახი. თითოეული მოსწავლისათვის შექმნილია ისგ ჯგუფი, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. თითოეულ სსსმ მოსწავლესთან ინდივიდუალურად მუშაობს სპეციალური მასწავლებელი, მშობლის და საგნის მასწავლებლების ჩართულობით. დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც ასახულია სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. ისგ ჯგუფი იკრიბება სემესტრში ორჯერ. ინდივიდუალური

სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგისთვის სასწავლო წლის დასასრულს სკოლა ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს. შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში.

4.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. როგორც სპეციალურ მასწავლებელთან გასაუბრებით დგინდება, სასწავლო წლის დასაწყისში და სწავლების პროცესში ინდივიდუალურად საჭიროებისამებრ სპეციალური მასწავლებელი აწყობენ საგნის მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრებს – ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნასა და განხორციელებასთან დაკავშირებით. სკოლაში არის რესურს ოთახი, რომელიც სრულად არის აღჭურვილი საჭირო მასალით, წიგნებით, სამაგიდო თამაშებით, ფაზლებით, საკანცელარიო ნივთებით, რაც მოსწავლეთა სწავლების ხარისხს უწყობს ხელს და ხდის მეტად ეფექტურს.

სპეციალურმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ სწორედ სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის შედეგად შეძლეს მეორე კლასის სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგის მიღწევა, მიუხედავად იმისა რომ მოსწავლეს არ სურდა კომუნიკაცია თანაკლასელებთან.

შესაბამისად, 4.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. ბრძანება ისგ-ს ჯგუფის შექმნის შესახებ
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
4. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
5. ისგ შეხვედრის ოქმები

4.2.4* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლის სპორტულ დარბაზში მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ მუნიციპალიტეტის ინიციატივით გახსნილ ჭიდაობის წრით. არც სასკოლო სასწავლო გეგმით და არც სკოლის დირექტორთან გასაუბრებით არ დასტურდება მოსწავლეებისათვის დამატებითი მომსახურების არსებობა.
2. სკოლაში ამ ეტაპზე არ ხორციელდება დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.
3. სკოლაში ამ ეტაპზე არ ხორციელდება დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი -დაწყებითი საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი-დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლის მიერ წარმოდგენილია: სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარება. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია-მოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. დოკუმენტში მოცემულია ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე რა ეტაპები მიმდინარეობს სკოლაში, კერძოდ ხდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესის გაანალიზება სადაც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების დადგენა და მისი გათვალისწინება კურიკულუმების შედგენის დროს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხვედრულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნულ დოკმენტში ვკითხულობთ: „კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს“. სკოლას სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრული არა აქვს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.
დოკუმენტში აღწერილია ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე რა ეტაპები მიმდინარეობს კერძოდ ხდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესის გაანალიზება სადაც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების დადგენა და მისი გათვალისწინება კურიკულუმების შედგენის დროს.
ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას .**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

რჩევა: სკოლამ განსაზღვროს სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაში რა მექანიზმებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების განსაზღვრას.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ სადაც აღწერილია როგორ ხდება კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე, ხოლო კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, ასევე, აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს. შემუშავებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რაც მიუთითებს მშობლების ჩართულობაზე. ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესის უშუალო მონაწილენი არიან, გამოკვეთილი აქვთ სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც გათვალისწინებული იქნა სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა სსსმ მოსწავლეებისათვის რესურსების შერჩევა და დავალებების მოდიფიცირება. კათედრის წევრების გასაუბრების და დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაციის მიხედვით, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლების მიერ. პროცესი **გაწერილია** დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში აღწერილია, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. გამოკვეთილია რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმოამადგენლებს. მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში, აქტიური უკუკავშირი მათთან. კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნიან საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, ითვალისწინებენ მათ ინტერესებსა და თვალსაზრისებს, წაახალისებენ ინიციატივებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, კურიკულუმი შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომი და საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისათვის. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება მას განიხილავს, როგორც ერთობლივად შექნილ პროდუქტს სახელმწიფო ენის კათედრის წევრები ფლობენ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას."კურიკულუმის შემუშავებისა და

განვითარების მეთოდოლოგია'', რომლის საფუძველზე, იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი: დირექცია, პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები, აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე. მშობლებთან კომპლექსური ბარათების გაზიარება ხდება ონლაინ სივრცეში თიმსისა და მესენჯერის ჯგუფებში.

ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითიო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, ყოველ სასწავლო თემაში მუშავდება სამივე სამიზნე ცნება. ასევე გათვალისწინებულია სწავლების დიფერენცირებული მიდგომა, სსსმ მოსწავლეების საჭიროებები და საბოლოოდ, კურიკულუმები ეხმარება მოსწავლეს სწავლასა და განვითარებაში. კურიკულუმებში ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან

მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე. მაშასადამე, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა.
ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოში ზუსტადაა გაწერილი სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. იმ თემებში, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალების დახმარებით განსაზღვრულია სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის) გააქტიურებას და გაცნობიერებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი ასევე დადგინდა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებამდე მასწავლებლები კიდევ ერთხელ გადახედავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ მათ, მოარგებენ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.
ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.

. 3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასევე მოცემულია სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმები, მოცემულია მათემატიკაში მოსწავლის ისგ-ის ნიმუში. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ჩანს, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარების გამოცდილება, შესაბამისად ამ მხრივ 2023-2024 სასწავლო წელს სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად შემოთავაზებული ოთხიდან გამოიყენებენ მეორე ინსტრუმენტს (საკლასო წერა) და დიაგნოსტირება ჩატარდება წელიწადში ორჯერ მე-5 და მე-6 კლასებში განმავითარებელი შეფასების გარდა მოხდება მოსწავლეების შეფასება განმსაზღვრელი შეფასებითაც. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

5. კურიკულუმის შემუშავების გამოცდილება სკოლას არ აქვს, რადგან სკოლა არ იყო ჩართული მესამე თაობის სასკოლო მოდელში. თუმცა კურიკულუმების შექმნის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებიდან ჩანს, რომ 1-6 კლასებში გათვალისწინებულია ორ-ორი კომპლექსური დავალების განხორციელება. მოცემულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვების საფუძველზე, მომავალ წელს განსაზღვრავენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმს. მოცემულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
შეფასების რუბრიკები;
ინტერვიუები პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აღნიშნული კრიტერიუმის განხორციელების მტკიცებულებად მივიჩნიეთ თვითშეფასების ფორმა, საგნობრივი კურიკულუმები, სკოლის მისია, სკოლაში განხორციელებული პროექტი („ ხელი შევუშალოთ გაუდაბნოებას "), აგრეთვე ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია. სასწავლო პროცესში მოსწავლისთვის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას იძლევა ის გარემოება, რომ სკოლა დაწყებით საფეხურზე გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა - სწავლების პროცესი. შემუშავებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს მისცემს საშუალებას შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიეინტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების - შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** 2.2.1.1. ინდიკატორს.

რჩევა: განისაზღვროს ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების შესასრულებლად საჭირო შესაბამისი რესურსები, მეტი აქცენტი გაკეთდეს ვირტუალურ ლაბორატორიის გამოყენებაზე. სკოლაში დაორგანიზდეს მოქმედი კლუბის ფუნქციონირების ამსახელ დოკუმენტაცია.

2. სკოლა აცნობიერებს, რომ კონსტრუირების გზა მიმართულია თემატური დაგეგმვის მნიშვნელობაზე და კომპლექსური დავალებებით მუშაობაზე. კონტექსტმაგალითები საშუალებას მისცემს გააქტიურდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალები. სასკოლო პროექტები მიემართება მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისკენ. კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეები უკეთ ამოიცნობენ და გადაჭრიან პრობლემებს, მიღებულ ცოდნას გამოიყენებენ პრაქტიკაში, შექმნიან საინტერესო პროდუქტს. საგნობრივი ექსპერტების მიერ განხილული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს. ეს კარგად ჩანს თითოეული კომპლექსური დავალების პირობაში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. განსაზღვრულია თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლქსურ დავალებამდე. I - VI კლასების საგნობრივ კურიკულუმებში მითთებული სავალდებულო თემატური ბლოკებითა და მრავალფეროვანი თემებით, ჩანს, რომ პროცესი იგეგმება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალებებით და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით. სასწავლო პროცესში (როგორც საკლასო სივრცეში, ისე გასვლითი ღონისძიებების ფარგლებში) აქტივობები დაგეგმილია იმგვარად, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. შეთავაზებული აქტივობები მოსწავლეს აძლევს საშუალებას,

ახალი ინფორმაცია დააკავშიროს არსებულ ცოდნასთან, გადაამუშავოს და ერთ მთლიანობად აქციოს იგი. აღნიშნული დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით, ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებით.შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა და **აკმაყოფილებს** ინდიკატორს 2.2.1.2.

3..ვიზიტის დროს, აგრეთვე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაირკვა, რომ გაკვეთილებზე სწავლის სწავლებისთვის იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს, მაგალითად: ,,სასწავლო გაჩერებები “, ,,კითხვა ნიშანთა სისტემით “ და ა. შ. დაწყებითი საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგნის მასწავლებლები იყენებენ თამაშითა და კეთებით სწავლების სტრატეგიებს. დაწყებითი საფეხურის კათედრის სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე - იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. თვითშეფასების ფორმაში და აგრეთვე გასუბრების შედეგად ეს მოცემულობა დაზუსტდა და, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. სკოლა ხელს უწყობენ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა რეფლექსიას. განმავითარებელი შეფასებები, თვითშეფასება, ერთმანეთის შეფასება მოსწავლეებს საშუალებას აძლევთ, დააკვირდნენ საკუთარი სწავლის ხარისხს, ძლიერ და სუსტ მხარეებს, სწავლის პროგრესს. მასწავლებლები მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, საჭიროებებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, სთავაზობენ სტრატეგიებს შედეგების გასაუმჯობესებლად. **აკმაყოფილებს** კრიტერიუმს 2.2.1.3.

4. აღნიშნული კრიტერიუმის მტკიცებულებად მივიჩნიეთ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენება უზრუნველყოფილია კომპლექსურ დავალებებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა აგრეთვე კლასში განხორციელებულ აქტივობებში გამოყენებული სხვადასხვა სტრატეგიები. მასწავლებლები იყენებენ კითხვის დასმის სტრატეგიებს, ჯგუფურ და ინდივიდუალურ მუშაობას. აქ გათვალისწინებულია სააზროვნო უნარების განვითარება, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის სამი კატეგორიის განვითარებას. დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეების მონაწილეობა საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, რაც დაზუსტდა ინტერვიუს დროს, ხელს შეუწყობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას და წარმართვას. **სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს 2.2.1.4.**

5. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს , წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, აგრეთვე თვითშეფასების დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. იგეგმება სამომავლოდ იმ უნარების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად საჭიროა გამოწვევებთან გამკლავებისას და პროდუქტის შექმნისას, ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნისთვის. **სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს 2.2.1.5.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
საგნობრივი კურიკულუმები
შეფასების რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრულია სამიზნე ცნებების სახით. სამიზნე ცნებები და ქვეცნებები სათანადოდ არის წარმოდგენილი. საგნობრივი საკითხები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით, გათვალისწინებულ სავალდებულო თემებს. სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებს, გარემოს . კურიკულუმებში შემოთავაზებულია დავალებები, რომელთა შესრულებისათვის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს

უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

რჩევა: დაწყებით საფეხურზე საჭიროა გამოიკვეთოს საგნობრივი კონტექსტები მეტი სიხშირით, რაც კიდევ უფრო მეტად. ხელს შეუწყობს მოსწავლის სოციო-ემოციურ განვითარებას.

3. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, გამახვილებულია ყურადღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მის შესაძლებლობების გამოვლენას და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, შეფასების ზოგადი რუბრიკები - საკლასო, საშინაო და შემაჯამებელ კომპონენტების შესაფასებლად. შემუშავებული შეფასების რუბრიკებით, მაგალითად, ფასდება როგორია მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რამდენად აქვს მას მოსმენის კულტურა, იცავს თუ არა ეთიკურ ნორმებს, როგორია მისი საქმიანობა სოციალურ გარემოში (ჯგუფებში მუშაობის დროს). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში.

ინტერვიუების მიხედვით, კათედრის წევრები იდეის გაგება-გაზიარების დონეზე ხსნიან და მხარს უჭერენ შეფასების სისტემის ორიენტირებას მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, პროექტები, კათედრის ოქმი, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ მოსწავლეები მონაწილეობენ რუბრიკების შექმნაში, იცნობენ ამ რუბრიკებს, რომლებიც გამოკრულია საკლასო ოთახებში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. ამჟამად კათედრები მუშაობენ შეფასების ახალი ინსტრუმენტების შექმნაზე, როგორც განმავითარებელი შეფასებისთვის, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების ყველა პრინციპი.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მათ ასევე მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას დააფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში. შეფასების ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. სკოლა, დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ განსაზღვრულ რისკ-ფაქტორებთან მიმართებაში, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი განახორციელებს შეფასების პროცესისა და ინსტრუმენტების ვერიფიკაციას შერჩევითი პრინციპით. ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნა ეგზავნება სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი მონიტორინგს უწევს რეკომენდაციების შესრულებას. მისაღწევი შედეგისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/ შეცვლის პრაქტიკა. შეფასების სისტემის გარე ვერიფიკაციის მექანიზმად სკოლა განიხილავს სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა შედეგებს. შიდა ვერიფიკაციის მექანიზმად კათედრებზე ჩატარებულ წამახალისებელ კონკურსებს მოიაზრებს, სადაც მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ საკუთარი სურვილების შესაბამისად და არაფორმალურ გარემოში მოხდება მათი ცოდნისა და უნარების შემოწმება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით . სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი
- განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კათედრა გეგმავს შექმნას ისეთი სივრცე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით დგინდება, რომ პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ასევე მშობლებთან , მათი სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით. მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა აქტივობებში. ასევე, წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, მოცემულია სსსმ მოსწავლის ისგ-ის ნიმუში, ინკლუზიური განათლების განზორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისათვის კი გამოიყენება კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, პედაგოგებთან ინტერვიუში ირკვევა, რომ დაწყებითი კლასების პედაგოგები თანამშრომლობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და მოსაზრებებს, ესწრებიან და განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს. შეთანმხდნენ საერთო თემებსა და საკითხებზე, რომ შემდეგ შეძლონ შედარებითი ანალიზი, ამის საფუძველზე კი მომავალში შექმნან კურიკულუმების შეჯერებული და გაუმჯობესებული ვარიანტი. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. სკოლაში ფუნაციონირებს ხარისხის განვითარების ჯგუფი,რომელიც პერიოდულად აკვირდება უფროს და წამყვან მასწავლებელს და უკუკავშირის საფუძველზე ეხმარება პროფესიულ განვითარებაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას გარემო, სადაც თანამშრომლობითი კულტურა და გამოცდილი კომუნიკაცია პრიორიტეტულია. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები საგაკვეთილო საკითხებს არჩევენ მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს და დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. კერძოდ, ეს დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების ბარათებით, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სკოლა თანამშრომლური გარემოს შექმნით ცდილობს შექმნას პოზიტიური კლიმატი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
კათედრის სამოქმედო გეგმა;
სადამრიგებლო პროგრამები;
ინტერვიუები პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროცესების მონიტორინგზე, ინტენსივობაზე, მონაცემების ანალიზსა და დამუშავებაზე. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით რეაგირებაზე. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას,კითხვარების შედგენას მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც
დაყრდნობითაც გააკეთებენ SWOT-ანალიზს, რომელიც ხელს შეუწყობს, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. კათედრის წევრებთან გასაუბრებამ გამოავლინა შემდეგი, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ აღქმული და გათავისებული მონიტორინგის წარმოების მნიშვნელობა, ისინი იაზრებენ რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. რის შედეგად სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ასევე ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ დირექციის წევრები საფეხურებისა და კლასების მიხედვით. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე მომიჯნავე კათედრებთან - ესწრებიან გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. კათედრის წევრებთან შეხვედრისას და მათთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ პედაგოგები ხვდებიან შეფასებისა და მონიტორინგის აუცილებლობას, ამით ისინი ადგენენ და ახდენენ არსებული პრობლემის იდენტიფიცირებას და ფიქრობენ, შეიმუშავებენ და განსაზღვრავენ არსებული პრობლემების გზებს თუ საშუალებებს. სკოლა აღნიშნავს რომ, 2023-2024 სასწავლო წელს მონიტორინგის დროს აისახება ძლიერი და სუსტი მხარეები, ყველა ხელისშემშლელი ფაქტორი ჩანაცვლებული იქნება ეფექტური მიდგომებით, რომელიც აისახება ცვლილებების სახით. ეს ყველაფერი გაიწერება შემდეგ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. პრობლემის სახით წარმოდგენილ საკვლევ საკითხზე აკეთებენ დასკვნებს შემდეგი ნაბიჯებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
კათედრის წევრებთან გასაუბრება;
კათედრის სხდომის ოქმები.
ინტერვიუ.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ვიზიტის დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით (მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრევრები). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც დეკლარაციული და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს დასტურდება კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ვიზიტის დროს კათედრის წევრები საუბრობდნენ განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების შესახებ, ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით მათ გამოცდილებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შეფასება ახალი სასწავლო წლიდან განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება ხორციელდება მოსწავლის დასწრების ფაქტორით, თემის ათვისების მაჩვენებელით. მოსწავლეზე დაკვირვება ხდება სხვადასხვა კუთხით: გაკვეთილზე ჩართულობით, პრეზენტაციით, გააზრებული კითხვის უნარით, მასალის ათვისებით. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, ხდება გაცდენილი გაკვეთილების მასალის გაანალიზება, სუსტ მოსწავლეებთან

სასწავლო პროცესში გამოვლენილი სიძნელეების დაძლევა. საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება სხვადასხვა ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი, მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს. საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე, საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულმა საგნობრივმა ჯგუფმა შეიმუშაოს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები, რაც აისახება ერთწლიან სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა შფასების ტიპები და კრიტერიუმები.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ნამუშევრები და მათი შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; ვიზიტის დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს შეფასების სხვადასხვა ტიპებზე: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. **სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს 2.3.2..3.**

რჩევა: მოსწავლეთა ცოდნის დიაგნოსტირების მიზნით, კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესში, სკოლამ განახორციელოს:

- მოსწავლეებზე დაკვირვება და ამ დაკვირვების შედეგების სპეციალურ ცხრილში ასახვა;
- მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, კერძოდ, გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, მათი შესაძლებლობები, მათ მიერ შესრულებული ნამუშევრები. სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. **სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს 2.3.2.4**

რჩევა:

1.შექმენით მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში;

2.შექმენით ყველა კლასისთვის განმსაზღვრელი (V კლასის მეორე სემესტრიდან) და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო

წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე ექსპერთა შეფასებით სკოლა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის მიხედვით განახორციელებს მის განვითარებას.

2. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში " სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. შესაბამისად სკოლა კურიკულუმის გადამუშავების პროცესში დაეფუძნება წინარე გამიცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი-საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია: სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარება. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია-მოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. დოკუმენტში მოცემულია ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე რა ეტაპები მიმდინარეობს სკოლაში, კერძოდ ხდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესის გაანალიზება სადაც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების დადგენა და მისი გათვალისწინება კურიკულუმების შედგენის დროს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხვედრულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნულ დოკმენტში ვკითხულობთ: „კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს“. სკოლას სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრული არა აქვს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.
დოკუმენტში აღწერილია ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე რა ეტაპები მიმდინარეობს კერძოდ ხდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესის გაანალიზება სადაც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების დადგენა და მისი გათვალისწინება კურიკულუმების შედგენის დროს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

რჩევა: სკოლამ განსაზღვროს სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაში რა მექანიზმებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების განსაზღვრას.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ სადაც აღწერილია როგორ ხდება კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების

სხდომებზე, ხოლო კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, ასევე, აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს. შემუშავებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რაც მიუთითებს მშობლების ჩართულობაზე. ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესის უშუალო მონაწილენი არიან, გამოკვეთილი აქვთ სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც გათვალისწინებული იქნა სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა სსსმ მოსწავლეებისათვის რესურსების შერჩევა და დავალებების მოდიფიცირება. კათედრის წევრების გასაუბრების და დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაციის მიხედვით, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლების მიერ. პროცესი გაწერილია დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში აღწერილია, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. გამოკვეთილია რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმოამადგენლებს. მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში, აქტიური უკუკავშირი მათთან. კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნიან საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, ითვალისწინებენ მათ ინტერესებსა და თვალსაზრისებს, წაახალისებენ ინიციატივებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, კურიკულუმი შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", რომლის საფუძველზე, იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი: დირექცია, პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები, აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე. მშობლებთან კომპლექსური ბარათების გაზიარება ხდება ონლაინ სივრცეში თიმსისა და მესენჯერის ჯგუფებში.

ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საბაზო საფეხურის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, ყოველ სასწავლო თემაში მუშავდება სამივე სამიზნე ცნება. ასევე გათვალისწინებულია სწავლების დიფერენცირებული მიდგომა, სსსმ მოსწავლეების საჭიროებები და საბოლოოდ, კურიკულუმები ეხმარება მოსწავლეს სწავლასა და განვითარებაში. კურიკულუმებში ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე. მაშასადამე, საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

2 სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში კურიკულუმების ჩარჩოში ზუსტადაა გაწერილი სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. იმ თემებში, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალების დახმარებით განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის) გააქტიურებას და გაცნობიერებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი ასევე დადგინდა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებამდე მასწავლებლები კიდევ ერთხელ გადახედავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ მათ, მოარგებენ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი**

სტანდარტთან შესაბამისობაშია. 3. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, სადაც აღწერილია, რომ საჯარო სკოლა არეგულირებს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას. გაწერილია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების , ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაციები. მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, უზრუნველყოფენ, რომ სსსმ მოსწავლეები თანაბრად იყვნენენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. აქტიურად ქმნიან სასწავლო ადაპტირებულ რესურსებს. დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია მასალის მიწოდების, წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა, ყველა ტიპის მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. გაკვეთილზე ხდება მრავალფეროვანი რესურსის გამოყენება; წარმოდგენილი აქვს სკოლას ინდ გეგმა, , სადაც გათვასწინებული მოსწავლეების შესაძლებლობები და ინტერესები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად კათედრას აქვს არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. პროექტით დგინდება, რომ შეფასება მისაღწევ შედეგებზეა გათვლილი. გრძელვადიან მიზნებზე და მეთოდიკურ ორიენტირებზეა მიმართული შეფასების კრიტერიუმები და გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის მიღწევა გრძელვადიან მიზნებთან და საგნის მისაღწევ შედეგებთან მიმართებით; კათედრის წევრების ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და იგი მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

5. სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებიდან ჩანს, რომ 7-9 კლასებში გათვალისწინებული აქვთ ყველა თემის დამუშავება კომპლექსური დავალებებით. პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია კოპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილება, თუმცა მიიჩნევს რომ ამ ეტაპზე მაინც სასურველია ყველა თემაზე კომპლექსური დავალების განხორციელება. მოცემულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვების საფუძველზე, მომავალ წელს განსაზღვრავენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმს. პედაგოგებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ ყოველი პედაგოგი კოლეგებთან და კათედრის წევრებთან ერთად განიხილავს სასწავლო პროცესში მიღწეულ წარმატებებს და წარმოქმნილ პრობლემებს, ხოლო შემდეგ ამ ყველაფერ გაითვალისწინებენ მომავალი წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს. მოცემულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება

ითქვას, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო
სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება
ისგ
კათედრის ოქმები
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რის გამოც საფრთხე ექმნება საბაზო საფეხურზე შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებას და შესაბამისად კურიკულუმის განხორციელებას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ შესაბამისი ღონისძიებები გატარდება და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორია მოეწყობა 18.11.2023-18.11.24 პერიოდში. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''**

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები, აგრეთვე საგნობრივ კურიკულუმში შერჩეული კომპლექსური დავალებები არის შესაძლებლობა იმის, რომ სასწავლო პროცესში განხორციელდეს ისეთი აქტივობები, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს. მოსწავლის მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის თანამშრომლობით სწავლის ფორმა ჯგუფური და წყვილებში მუშაობა აქვს შერჩეული, სადაც მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები კი ქმნის შესაძლებლობას თანამშრომლობითი გზით, ყველა ასაკის და საჭიროების მოსწავლე აქტიურად და თანაბრად იყოს ჩართული, იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარემ იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწყობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში მნიშვნელოვანი და საინტერესოა ეკო კლუბისა და საბუნებისმეტყველო კათედრის გამოცდილება, კერძოდ, ერთობლივად შემუშავებული სამუშაო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც პროექტებისა და სხვა ღონისძიებებით ასევე იძლევა ღიაობის, მაღალი მიმღებლობის, პრობლემაზე ორიენტირებულობისა და მოსწავლის ინიციატივების წახალისების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს წარმატებული გამოცდილება და მზაობა მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობისთვის. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
რჩევა: განისაზღვროს ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების შესასრულებლად საჭირო შესაბამისი რესურსები, მეტი აქცენტი გაკეთდეს ვირტუალურ ლაბორატორიის გამოყენებაზე. სკოლაში დაორგანიზდეს მოქმედი კლუბის ფუნქციონირების ამსახელ დოკუმენტაცია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალურ ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების/ეროვნული სასწავლო გეგმის

მოთხოვნების დანერგვის პროცესში (სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო შექმნა): ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შინაარსის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირება; დანერგვის ინსტრუმენტების დაკავშირება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოებში სკოლის მიერ წარმოდგენილი სამიზნე ცნება, რომელიც უნდა დამუშავდეს შერჩეული საკითხის ფარგლებში. კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

3. საბაზო საფეხურზე საგნის მასწავლებლები თანამედროვე მიდგომებით ახორციელებენ სასწავლო პროცესს. სკოლაში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, მრავალფეროვან სტრატეგიებზე - იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება თავად განახორციელონ ცოდნის კონსტრუირება და იპოვონ კავშირი მიღებულ ცოდნასა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან. თვითშეფასების ფორმაში და აგრეთვე გასუბრების შედეგად ეს მოცემულობა დაზუსტდა და, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. **აკმაყოფილებს** კრიტერიუმს 2.2.1.3.

4. აღნიშნული კრიტერიუმის მტკიცებულებად მივიჩნიეთ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები. საბაზო საფეხურზეც სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენება უზრუნველყოფილია კომპლექსურ დავალებებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა აგრეთვე კლასში განხორციელებულ აქტივობებში გამოყენებული სხვადასხვა სტრატეგიები, მაგ, სასწავლო პროცესში მოსწავლეებს თეორიული ცოდნა გადააქვთ პრაქტიკაში, რაშიც ეხმარება პროექტებით სწავლება, თეორიული ცოდნის განსამტკიცებლად მივმართავენ სწავლას კეთებით. მოსწავლეები ასრულებენ ისეთ დავალებებს, როგორიცაა : თხზულების დაწერა, პოსტერების დამზადება, ელექტრონული პრეზენტაცია, მოდელების დამზადება(ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში, მათემატიკაში) და ა.შ. მიმდინარე სასწავლო წელს მე- 9 კლასის მოსწავლეებმა ბიოლოგიაში შექმნეს კანის მოდელი, მათემატიკაში მე-6 კლასის მოსწავლეებმა შექმნეს ე.წ ,,ფორმულების ხე" მასწავლებლები აქტიურად იყენებენ კითხვის დასმის სტრატეგიებს, ჯგუფურ და ინდივიდუალურ მუშაობას. აქ გათვალისწინებულია სააზროვნო უნარების განვითარება, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის სამი კატეგორიის განვითარებას. საბაზო საფეხურის საგნობრივი ჯგუფების პედაგოგების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეების მონაწილეობა საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, რაც დაზუსტდა ინტერვიუს დროს, ხელს შეუწყობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას და წარმართვას. **სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს 2.2.1.4.**

5. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, აგრეთვე თვითშეფასების დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. იგეგმება სამომავლოდ იმ უნარების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად

საჭიროა გამოწვევებთან გამკლავებისას და პროდუქტის შექმნისას, ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნისთვის. **სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს 2.2.1.5.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო

არაფორმალური განათლება

სსსმ მოსწავლეებთამ მუშაობის გამოცდილება

კათედრის სამოქმედო გეგმა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრულია სამიზნე ცნებების სახით. სამიზნე ცნებები და ქვეცნებები სათანადოდ არის წარმოდგენილი. საგნობრივი საკითხები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით, გათვალისწინებულ სავალდებულო თემებს. სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ

მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებს, გარემოს. კურიკულუმებში შემოთავაზებულია დავალებები, რომელთა შესრულებისათვის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები (როგორც ლაბორატორიები ასევე სკოლაში არსებული სხვა რესურსები) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, გამახვილებულია ყურადღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მის შესაძლებლობების გამოვლენას და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, შეფასების ზოგადი რუბრიკები - საკლასო, საშინაო და შემაჯამებელ კომპონენტების შესაფასებლად. შემუშავებული შეფასების რუბრიკებით, მაგალითად, ფასდება როგორია მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რამდენად აქვს მას მოსმენის კულტურა, იცავს თუ არა ეთიკურ ნორმებს, როგორია მისი საქმიანობა სოციალურ გარემოში (ჯგუფებში მუშაობის დროს). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში. ინტერვიუების მიხედვით, კათედრის წევრები იდეის გაგება-გაზიარების დონეზე ხსნიან და მხარს უჭერენ შეფასების სისტემის ორიენტირებას მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. მასწავლებლებს აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენების გამოცდილება. წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს. ახალი სასწავლო წლისთვის შერჩეული იქნება კომპლექსური დავალებები, რომელთა აუცილებელ კომპონენტს შეფასების კრიტერიუმები შეადგენს. მოსწავლეებისთვის თავიდანვე ამ კრიტერიუმების შეთავაზება შეფასების სისტემის სანდოობას და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, პედაგოგების მიერ კათედრის ფარგლებში იქმნება შეფასების კრიტერიუმები, რომლის შედგენაშიც ჩართული არიან აქტიურად მასწავლებლები. შეფასების კრიტერიუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიერ, ინფორმირებულნი არაინ მშობლები. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს ამ რუბრიკებს. შეფასების სიხშირეს მონიტორინგს უწევს ადმინისტრაცია ელექტრონული ჟურნალის სისტემატური მონიტორინგის გზით. მოსწავლე აქტიურადაა ჩართული კრიტერიუმების შემუშავების,

განხილვის პროცესში, რაც შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

5. სკოლა, საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ განსაზღვრულ რისკ-ფაქტორებთან მიმართებაში, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი განახორციელებს შეფასების პროცესისა და ინსტრუმენტების ვერიფიკაციას შერჩევითი პრინციპით. ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნა ეგზავნება სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი მონიტორინგს უწევს რეკომენდაციების შესრულებას. მისაღწევი შედეგისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/ შეცვლის პრაქტიკა. შეფასების სისტემის გარე ვერიფიკაციის მექანიზმად სკოლა განიხილავს სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა შედეგებს. შიდა ვერიფიკაციის მექანიზმად კათედრებზე ჩატარებულ წამახალისებელ კონკურსებს მოიაზრებს, სადაც მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ საკუთარი სურვილების შესაბამისად და არაფორმალურ გარემოში მოხდება მათი ცოდნისა და უნარების შემოწმება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6.კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით . სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინება. უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი . ასევე სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები საუბრობენ პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკასა და გაზიარებული პასუხისმგებლობებზე, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს, რათა განახორციელოს მისი ინიციატივები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კითხებისთვის ყველას ეძლევა საკმარისი დრო როგორც პედსაბჭოზე, ასევე შეუზღუდავად შეუძლიათ პირადი საუბრები და შეხვედრები როგორც დირექციასთან, ასევე კოლეგებთან. ამისათვის მათ აქვთ ფართი, მუდმივი ინტერნეტი და სასკოლო რესურსი. სკოლის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს წახალისებული და გათვალისწინებული იქნას მისი ინიციატივები. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სკოლაში ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. მათემატიკის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისათვის კი გამოიყენება კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

3. სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლაში ხორციელდება ურთიერთ დასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლამ განახორციელა მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვა რათა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალიწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და სურვილები სკოლის განვითარების პროცესში. გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა ,რომელშიც ჩართულია პედაგოგები ყველა სკოლა აქტიურად თანამშრომლობს თემში კასპის კოლეჯთან. კათედრის

წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია კათედრის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია. სისტემატიურად ხდება ერთობლივი ინეგრირებული აქტივობების დაგეგმვა განხორციელება, რესურსების შექმნა, წარმატებული პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას გარემო, სადაც თანამშრომლობითი კულტურა და გამოცდილი კომუნიკაცია პრიორიტეტულია. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები საგაკვეთილო საკითხებს არჩევენ მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს და დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. კერძოდ, ეს დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების ბარათებით, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სკოლა თანამშრომლური გარემოს შექმნით ცდილობს შექმნას პოზიტიური კლიმატი. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
კათედრის ოქმი;
კათედრის სამოქმედო გეგმა;
სადამრიგებლო პროგრამები;
ინტერვიუები პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" სადავ არსებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია .სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)? სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სკოლას დოკუმენტში გაწერილი აქვს პროცესი დეტლურად და უზრუნველყოფს მონიტორინგს და შეფასებას განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. კათედრის წევრებთან გასაუბრებამ გამოავლინა შემდეგი, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ აღქმული და გათავისებული მონიტორინგის წარმოების მნიშვნელობა, ისინი იაზრებენ რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერისჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. რის შედეგად სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ასევე

ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ დირექციის წევრები საფეხურებისა და კლასების მიხედვით. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე მომიჯნავე კათედრებთან - ესწრებიან გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. კათედრის წევრებთან შეხვედრისას და მათთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ პედაგოგები ხვდებიან შეფასებისა და მონიტორინგის აუცილებლობას, ამით ისინი ადგენენ და ახდენენ არსებული პრობლემის იდენტიფიცირებას და ფიქრობენ, შეიმუშავებენ და განსაზღვრავენ არსებული პრობლემების გზებს თუ საშუალებებს. სკოლა აღნიშნავს რომ, 2023-2024 სასწავლო წელს მონიტორინგის დროს აისახება ძლიერი და სუსტი მხარეები, ყველა ხელისშემშლელი ფაქტორი ჩანაცვლებული იქნება ეფექტური მიდგომებით, რომელიც აისახება ცვლილებების სახით. ეს ყველაფერი გაიწერება შემდეგ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. პრობლემის სახით წარმოდგენილ საკვლევ საკითხზე აკეთებენ დასკვნებს შემდეგი ნაბიჯებისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კათედრის წევრებთან გასაუბრება;
სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
არაფორმალური განათლება
საგნობრივი კურიკულუმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სასწავლო პროცესის შესაფასებლად და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: ვერბალური განმავითარებელი კომენტარი საგაკვეთილო

პროცესში მოსწავლის პიროვნული თუ სოციო-ემოციური განვითარებისთვის, წერილობითი განმავითარებელი კომენტარი, კომპლექსური დავალებების ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების ტაქსონომია (სოლო). რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, მოსწავლეთა საკლასო, დამოუკიდებელი და შემაჯამებელი სამუშაოები ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით, ხორციელდება შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, რომლებიც განიხილება საგნობრივ კათედრებზე მომავალი შემაჯამებელი სამუშაოების უკეთ დასაგეგმად და მოსწავლეთა უკეთესი აკადემიური შედეგის მისაღწევად . შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ვიზიტის დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით (მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრევრები). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც დეკლარაციული და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს დასტურდება კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. **სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს 2.3.2.1.**

2.სკოლა გეგმავს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას. სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ხდება, სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას რაც იძლევა იმის საშუალებას სასწავლო პროცესი წარიმართოს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხორციელდება შესაბამისად. კათედრის წევრებთან გასაუბრების შემდეგ და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების და შეფასების რუბრიკების, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებიდა და განვითარების მეთოდოლოგის მიხედვით სკოლაში შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ნამუშევრები და მათი შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; ვიზიტის დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს შეფასების სხვადასხვა ტიპებზე: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. **სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს 2.3.2..3.**

რჩევა: სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად, შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა,

საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.) მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლებმა შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

4..შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, კერძოდ, გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, მათი შესაძლებლობები, მათ მიერ შესრულებული ნამუშევრები. სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. **სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს 2.3.2.4.**

ესთეტიკის საგნები - რჩევა:

1. საბაზო საფეხურის (კერძოდ VII კლასის) კურიკულუმისთვის კომპლექსური დავალებების ნიმუშები შეარჩიეთ განათლების სამინისტროს რესურსებიდან.
2. შექმენით მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში
3. შექმენით ყველა კლასისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე ექსპერთა შეფასებით სკოლა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის მიხედვით განახორციელებს მის განვითარებას.
2.კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში " სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. შესაბამისად სკოლა კურიკულუმის გადამუშავების პროცესში დაეფუძნება წინარე გამიცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი-საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მასში ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. კერძოდ, .რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი; სისტემური დონის რეგულაციები, რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი; პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პოზიციები; პროცესში ჩართული მხარეები; ძირითადი პროცესები; კავშირი სხვა პროცესებთან. კერძოდ ხდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესის გაანალიზება სადაც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების დადგენა და მისი გათვალისწინება კურიკულუმების შედგენის დროს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხვედრულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნულ დოკმენტში ვკითხულობთ: „კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს“. დოკუმენტში აღწერილია ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე რა ეტაპები მიმდინარეობს კერძოდ ხდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესის გაანალიზება სადაც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების დადგენა და მისი გათვალისწინება კურიკულუმების შედგენის დროს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, ,,კურიკულუმი ფუნქციაა, ერთი მხრივ, წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები, მეორე მხრივ კი, უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის დანერგვა მაშინ მიმდინარეობს წარმატებით, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია და მშობლები''. სკოლა მისია-ხედვა-ღირებულებებსა და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით მკაფიოდ გამოკვეთს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს და სასკოლო კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულებსა და დანერგვის ინსტრუმენტებზე დაყრდნობით მკაფიოდ ახსნის ამ პრიორიტეტების რეალიზების/ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმებს.ჩართულობაზე. ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესის უშუალო მონაწილენი არიან, გამოკვეთილი აქვთ სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც გათვალისწინებული იქნა სასკოლო

კურიკულუმის შექმნის პროცესში. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა სსსმ მოსწავლეებისათვის რესურსების შერჩევა და დავალებების მოდიფიცირება. კათედრის წევრების გასაუბრების და დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაციის მიხედვით, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წარმოჩენილია, თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას; კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებისა და დირექციის უმთავრესი ვალდებულებები უკავშირდება უშუალოდ სასწავლო პროცესს. ეს ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა გაიწეროს შიდა სასკოლო დოკუმენტებში. კურიკულუმის განვითარების პროცესში ფუნქციური როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილებისას არ აქვს მნიშვნელობა მასწავლებლის სტატუსს (მენტორი, წამყვანი, *უფროსი).**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

4. "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", რომლის საფუძველზე, იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი: დირექცია, პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები, აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე. მშობლებთან კომპლექსური ბარათების გაზიარება ხდება ონლაინ სივრცეში თიმსისა და მესენჯერის ჯგუფებში.

ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე ბუნებისმეტყველების ფარგლებში წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლისთვის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც რიგ სავალდებულო თემებში შერჩეული საკითხების საშუალებით თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, როგორც გრძელვადიანი მიზანი. საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომაზე განიხილეს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (კათედრის სხდომის ოქმი). სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი და წარმოდგენილია ამ კლუბიის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, (გამწვანების აქცია, „ ხელი შეუშალოთ გაუდაბნოებას, არც ერთი ქაღალდი ძირს, თუ გინდა შეცვალო მსოფლიო დაიწყე შენგან,, მზის საერთაშორისო დღე, გარემოს დაცვის დღე, დედამიწის დღე, სუფთა წყალი, რატომ ტირის დედამიწა,)რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და სოციო-ემოციური განვითარებას, ზრდის მოტივაციას და ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური და თანასწორი ჩართულობის საშუალებას იძლევა. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და გააკეთეს ზუსტი აქცენტები კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. კათედრებს სწორად აქვს გაგებული კურიკულუმის აგების პრინციპი, მზად არიან კურიკულუმები დახვეწონ და სრულფასოვანი გეგმები გამოიყენონ 2023-2024 სასწავლო წლიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგებიდან ჩანს, რომ საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს საკმარისი მზაობა , გამოცდილება და ხედვა, წარმატებით დაგეგმოს და განავითაროს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში კურიკულუმების ჩარჩოში ზუსტადაა გაწერილი სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. იმ თემებში, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალების დახმარებით განსაზღვრულია სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის) გააქტიურებას და გაცნობიერებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი ასევე დადგინდა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებამდე მასწავლებლები კიდევ ერთხელ გადახედავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ მათ, მოარგებენ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. შესაბამისად; ხდება საკითხების შერჩევა, რომელიც ისწავლება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის

სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა); საკითხების განსაზღვრა, რომლებიც ისწავლება სხვა საგნის საკითხებთან ინტეგრირებით; იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით (თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით); აქტივობებისა და სასწავლო რესურსების აღწერა, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული წინა წელს შუალედურ სასწავლო მიზანზე მუშაობისას; სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის და საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს ანალიზი, აგრეთვე კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალებების დაგეგმვა /განხორციების.შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, სადაც აღწერილია, რომ საჯარო სკოლა არეგულირებს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას. გაწერილია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების , ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაციები. მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, უზრუნველყოფენ, რომ სსსმ მოსწავლეები თანაბრად იყვნენენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. აქტიურად ქმნიან სასწავლო ადაპტირებულ რესურსებს. დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია მასალის მიწოდების, წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა, ყველა ტიპის მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. გაკვეთილზე ხდება მრავალფეროვანი რესურსის გამოყენება; წარმოდგენილი აქვს სკოლას ინდ გეგმა, (ქიმიაში და ბიოლოგიაში), სადაც გათვალისწინებული მოსწავლეების შესაძლებლობები და ინტერესები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად კათედრას აქვს არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4.სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. პროექტით დგინდება, რომ შეფასება მისაღწევ შედეგებზეა გათვლილი. გრძელვადიან მიზნებზე და მეთოდიკურ ორიენტირებზეა მიმართული შეფასების კრიტერიუმები და გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის მიღწევა გრძელვადიან მიზნებთან და საგნის მისაღწევ შედეგებთან მიმართებით; კათედრის წევრების ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და იგი მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გამოკვეთილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კერძოდ : სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალურ ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში (სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო შექმნა): საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ საგნობრივ კურუკულუმში შესული კომპლექსური დავალების იდეა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმეს და გაითვალისწინეს წინა წლის საქმიანობის ანალიზი და გამოცდილება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ სამომავლო ხედვა, მზაობა და დაგეგმვის პროცესში ითვალიწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო
სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება
ისგ
კათედრის ოქმები
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რის გამოც საფრთხე ექმნება საშუალო საფეხურზე შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებას და შესაბამისად კურიკულუმის განხორციელებას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ შესაბამისი ღონისძიებები გატარდება და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორია მოეწყობა 18.11.2023-18.11.24 პერიოდში. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება''**

2.2.1სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს. ეს კარგად ჩანს თითოეული კომპლექსური დავალების პირობაში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. განსაზღვრულია თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მითთებული სავალდებულო თემატური ბლოკებითა და მრავალფეროვანი თემებით ჩანს, რომ პროცესი იგეგმება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალებებით და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა ჩართვას აქტიურ შემოქმედებით პროცესში. კომპლექსური დავალებები, პროექტული სწავლება, საკლუბო აქტივობები, გასვლითი ღონისძიებები და სხვა, ორიენტირებულია მოსწავლეებში შინაგანი ძალების მოტივირებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ დაწყებით საფეხურზე (IV კლასში) განხორციელებული პროექტი - მინი მუზეუმი კლასში; სკოლის პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაცია „ბილიკთან" ერთად განხორციელებული ერთობლივი პროექტები საბაზო და საშუალო საფეხურზე; მოსწავლეთა ვიზიტები ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში; ხოვლე-გორას არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი

არტეფაქტების გაცნობა ველზე და მათი ანალიზი და სხვ. აღსანიშნავია ის, რომ სკოლას ჰყავს ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში გამარჯვებული მოსწავლეები. 2.2.1.2. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურზე საგნის მასწავლებლები თანამედროვე მიდგომებით ახორციელებენ სასწავლო პროცესს. სკოლაში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, მრავალფეროვან სტრატეგიებზე - იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება თავად განახორციელონ ცოდნის კონსტრუირება და იპოვონ კავშირი მიღებულ ცოდნასა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან. თვითშეფასების ფორმაში და აგრეთვე გასუბრების შედეგად ეს მოცემულობა დაზუსტდა და, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. **აკმაყოფილებს** კრიტერიუმს 2.2.1.3.

3.სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში : სამომავლოდ დაგეგმილ -საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში, სასკოლო პროექტში ჩანს, რომ პროცესი ისეა დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ განსაზღვროს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულება, დაგეგმვა- როგორ შეასრულოს დავალება, როგორ მოახდინოს სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის პროცესის დროს თავისი ქცევის სოციო-ემოციური მართვა . კომპლექსური დავალება მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. კათედრაზე პედაგოგები მიზანმიმართულად იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას; მოსწავლეებს ასწავლიან ძირითად მასალაზე ხაზგასმას, მთლიანი მასალის დანაწევრებას და დანაწევრებული მასალის ათვისებას. ხოლო ემოციური კომპონენტის გასავითარებლად ეხმარებიან მოსწავლეებს ისწავლონ შეცდომის დანახვა და გამოსწორება, ის რომ არ ეშინოდეთ შეცდომის დაშვების, ისწავლონ ემოციების კონტროლი. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა. პედაგოგოებს აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე; **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4.წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლა ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) მუშაობას. კომპლექსური დავალებების აქტივობები აგებულია სწორედ ამ პრინციპზე. გარდა ამისა, დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა ჩართვას არაფორმალურ ღონისძიებებსა და პროექტებში, სადაც მათ აქვთ დამატებითი შესაძლებლობა, მოახდინონ ფაქტობრივი ცოდნის რეალიზება პროცესში, შესაბამისი პირობების გათვალისწინებით. ისინი ხშირად სტუმრობენ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, ეროვნულ არქივს, შემდეგ კი ხდება ვიზიტების განხილვა-ანალიზი-შეჯამება კლასში. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, რომლის ეგიდით ხდება ხეების დარგვა, გამწვანება, გარემოზე ზრუნვა. ახორციელებენ საქველმოქმედო პროექტებს „ქვაზე დადებული მადლი“, „სიკეთე გადამდებია“, რომელთა ფარგლებში ეხმარებიან მოწყვლად ოჯახებს. აღნიშნული აგრეთვე, ხელს უწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო თვითშეგნებისა და მოხალისეობრივი კულტურის დანერგვასა და ჩამოყალიბებას. განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

5. კათედრის მიერ შემუშავებული კომპლექსური დავალებები და ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობები საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. აღნიშნული ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა , რომ პროცესი იწყება წინარე ცოდნის გააქტიურებით, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა . ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო

არაფორმალური განათლება

სსსმ მოსწავლეებთამ მუშაობის გამოცდილება

კათედრის სამოქმედო გეგმა

კომპლექსური დავალების ბარათი

პროექტები

შესასვლელი/გასასვლელი ბარათები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრულია სამიზნე ცნებების სახით. სამიზნე ცნებები და ქვეცნებები სათანადოდ არის წარმოდგენილი. საგნობრივი საკითხები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით, გათვალისწინებულ სავალდებულო თემებს. სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, საგნის კონტექსტში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები. „კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ თანახმად სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები. რომლებიც დაგეგმილი პროცესის ნაწილია, ვინაიდან მკვიდრი წარმოდგენები შემოსაზღვარავს ცნების არეალს, სწორედ მისგან გადმოთარგმნილი შეფასების კრიტერიუმები აქვს ჩაშლილი დავალების პირობას, რომელიც კარნახობს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულება რა მიმართულებით უნდა მოხდეს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესმა უზრუნველყოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
2. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებს, გარემოს. კურიკულუმებში შემოთავაზებულია დავალებები, რომელთა შესრულებისათვის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები (როგორც ლაბორატორიები ასევე სკოლაში არსებული სხვა რესურსები) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე,პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი

უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, გამახვილებულია ყურადღებამოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მის შესაძლებლობების გამოვლენას და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდულს. გარდა განმსაზღვრელი შეფასებისა, რომელიც ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საკლასო, შემაჯამებელი თუ წლიური აკადემიური მოსწრებისა, პედაგოგები ცდილობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის შექმნა- გამოყენებას, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას და მოსწავლეთა ჩართვას ამ პროცესში . (ყოველდღიურად საგაკვეთილო პროცესში კონკრეტულ მოსწავლეზე კონკრეტულ აქტივობასთან დაკავშირებული სიტყვიერი / წერილობითი განმავითარებელი კომენტარებით). 2019-2020 წლიდან სკოლა არის ჩართული ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში. სკოლას აქვს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი გამნავითარებელი შეფასების წარმოების პრაქტიკა. სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ მოსწავლეების მიღწევის შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება კათედრული მუშაობის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ურთიერთდასწრებას გაკვეთილზე, კოლეგის უკუკავშირს და ა.შ. სკოლას შემუშავებული აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა გააგრძელებს სასწავლო პროცესში განმავითარებელი ზეპირი კომენტარის გამოყენებას. ასევე, აპირებენ მათ მიერ შემუშავებული განმავითარებელი რუბრიკებით მუშაობას. პედაგოგიკური პრაქტიკის რეფლექსიისთვის ინფორმაციის მოსაგროვებლად სკოლა აპირებს გამოიყენოს Japanese lesson study-ს მეთოდი, რომელიც გულისხმობს სამ მოსწავლეზე დაკვირვებას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და ამ დაკვირვების შედეგების კლასის/სკოლის მასშტაბზე განზოგადებას. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად შეირჩა მეორე ინსტრუმენტი. **შეესაბამება სტანდარტს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, პროექტები, კათედრის ოქმი, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ მოსწავლეები მონაწილეობენ რუბრიკების შექმნაში, იცნობენ ამ რუბრიკებს, რომლებიც გამოკრულია საკლასო ოთახებში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. ამჟამად კათედრები მუშაობენ შეფასების ახალი ინსტრუმენტების შექმნაზე, როგორც განმავითარებელი შეფასებისთვის, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების ყველა პრინციპი.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მათ ასევე მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას დააფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში. შეფასების ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5.სკოლას გააზრებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის მნიშვნელობა. შემუშავებული აქვს და წარმოდგენილი "ვერიფიკაციის მექანიზმი" რომელიც არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლას განსაზღვრული აქვს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭირვალობა, გაწერილი აქვს გარე და შიდა შეფასების ეტაპები. სკოლას ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკების შემუშავება ხდება კათედრაზე ერთობლივად, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები გაეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას. სკოლას შემუშავებული აქვს და წარმოდგენილი დოკუმენტის სახით „სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი", რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

6.კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით . სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინება. უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. ასევე სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები საუბრობენ პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკასა და გაზიარებული პასუხისმგებლობებზე, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს, რათა განახორციელოს მისი ინიციატივები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კითხებისთვის ყველას ეძლევა საკმარისი დრო როგორც პედსაბჭოზე, ასევე შეუზღუდავად შეუძლიათ პირადი საუბრები და შეხვედრები როგორც დირექციასთან, ასევე კოლეგებთან. ამისათვის მათ აქვთ ფართი, მუდმივი ინტერნეტი და სასკოლო რესურსი. სკოლის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს წახალისებული და გათვალისწინებული იქნას მისი ინიციატივები. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სკოლაში ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
2. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. მათემატიკის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისათვის კი გამოიყენება კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
3. სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლაში ხორციელდება ურთიერთ დასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლამ განახორციელა მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვა რათა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალიწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და სურვილები სკოლის განვითარების პროცესში. გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა ,რომელშიც ჩართულია პედაგოგები ყველა სკოლა აქტიურად თანამშრომლობს თემში კასპის კოლეჯთან. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია კათედრის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია. სისტემატიურად ხდება ერთობლივი

ინეგრირებული აქტივობების დაგეგმვა განხორციელება, რესურსების შექმნა, წარმატებული პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას გარემო, სადაც თანამშრომლობითი კულტურა და გამოცდილი კომუნიკაცია პრიორიტეტულია. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები საგაკვეთილო საკითხებს არჩევენ მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს და დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. კერძოდ, ეს დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების ბარათებით, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სკოლა თანამშრომლური გარემოს შექმნით ცდილობს შექმნას პოზიტიური კლიმატი. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
კათედრის ოქმი;
კათედრის სამოქმედო გეგმა;
სადამრიგებლო პროგრამები;
ინტერვიუები პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" სადაც არსებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია .სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)? სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და დაგეგმის მეთოდოლოგია- იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. შესაბამისად სკოლა აქვს მზაობა და გაწერილი საქმიანობების თანამიმდევრობა, როგორ უზრუნველყოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში გამოიკვეთება ზოგიერთი თანხვედრაშია სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით დაევალებათ. მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?. კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან შეგვიძლია დავადგინოთ , რომ სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
არაფორმალური განათლება
საგნობრივი კურიკულუმი
კათედრის წევრებთან გასაუბრება;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სასწავლო პროცესის შესაფასებლად და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: <u>ვერბალური</u> განმავითარებელი კომენტარი საგაკვეთილო

პროცესში მოსწავლის პიროვნული თუ სოციო-ემოციური განვითარებისთვის, წერილობითი განმავითარებელი კომენტარი, კომპლექსური დავალებების ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების ტაქსონომია (სოლო). რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, მოსწავლეთა საკლასო, დამოუკიდებელი და შემაჯამებელი სამუშაოები ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით, ხორციელდება შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, რომლებიც განიხილება საგნობრივ კათედრებზე მომავალი შემაჯამებელი სამუშაოების უკეთ დასაგეგმად და მოსწავლეთა უკეთესი აკადემიური შედეგის მისაღწევად . შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ვიზიტის დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით (მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრები). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც დეკლარაციული და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს დასტურდება კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა გეგმავს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას. სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ხდება, სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას რაც იძლევა იმის საშუალებას სასწავლო პროცესი წარიმართოს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხორციელდება შესაბამისად. კათედრის წევრებთან გასაუბრების შემდეგ და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების და შეფასების რუბრიკების, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებიდა და განვითარების მეთოდოლოგის მიხედვით სკოლაში შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ნამუშევრები და მათი შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; ვიზიტის დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს შეფასების სხვადასხვა ტიპებზე: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. **2.3.2..3. ინდიკატორი დაკმაყოფლებულია.**

4. სწავლებისა და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია როგორც გარემო-პირობები, ისე შესაბამისი კონტექსტები და ფაქტორები. მასწავლებლები ითვალიწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს, ასაკობრივ თავისებურებებს, მზაობას, ფსიქო-ემოციურ მახასიათებლებს და ა.შ. კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკები და ფორმალური თუ არაფორმალური განათლების აქტივობებიც დაგეგმილი და გაწერილია იმგვარად, რომ იგრძნობა ყოველივე ზემოაღნიშნულის

გათვალისწინება. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მხარდამჭერ უკუკავშირს მოსწავლეთა თვითშეფასების ამაღლებისა და მათი შედეგების გაუმჯობესების მიზნით. ზრუნავენ მათ პიროვნულ განვითარებასა და წარმატებაზე. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სკოლის ძლიერი მხარეა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
საგნობრივი კურიკულუმები;
კომპლექსური დავალებები;
შეფასების რუბრიკები;
პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე ექსპერთა შეფასებით სკოლა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის მიხედვით განახორციელებს მის განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში " სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. შესაბამისად სკოლა კურიკულუმის გადამუშავების პროცესში დაეფუძნება წინარე გამიცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





27.11.2023
თარიღი